

244  
1929

საქართველოს  
საბჭოთაო

# საბჭოთა სამართალი

ს.ს.ს.რ.  
იუსტისსახკომის  
იჩკპირუდნი  
იჩტანო

## № 6

31 მაკტი  
1929

### უინაარსი

- მოწინავე—საქ. საბჭოთა რესპუბლიკანური ყრილობის გამო.
- ვედ. ენუქიძე—თემსაბჭოს ამოცანები კაბალურ გარიგებებთან ბრძოლაში.
- კ. მიქელაძე—საკავშირო — მიწის ძირითადი კანონის პრინციპების შესახებ.
- მ. ქორქაშვილი—სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება.
- პ. კიწორია—გამასწორებელ სახლების განტვირთვის შესახებ.
- დ. მირიანაშვილი—მტკიცენული საკითხები მილიციის დარგში მუშაობისა.


#### სისხლის სამართლის საქითხავი

- ს. ორლოვსკი—მარქსიზმი და სისხლის სამართალი.
- ი. როინაშვილი—სისხ. სამ. სპ. ახალი კოდ. პროექტის გარშემო.

#### სასამართლო და ყოფა-ცხოვრება

- გ. ბააზოვი—იუსტიციის ორგანოთა ამოცანები ანტისემიტისმთან ბრძოლაში.

იურიდიული დახმარება  
გიბლიოგრაფია  
კანონმდებლობის მიმოხილვა  
ოფიციალური ნაწილი



# საბჭოთა სამართალი


საქართველოს სოციალისტურ  
საბჭოთა რესპუბლიკის  
იუსტიციის სახალხო  
კომისარიატის ორგანიზებული  
==== ყურნალი ====

====  
ფელიწადი 1929 წ.  
====

## № 6

მარტი — 1929 წ.

ტფილისი



პასუხისმგებელი რედაქტორი **შ ა ლ ვ ა მ ა თ ი კ ა შ ვ ი ლ ი**

სარედაქციო კოლეგია

- 0. ტალანაძე
- თ. დოლიძე
- ბ. გერაძე
- პროფ. შ. ნუცუბიძე
- კონს. შიქვალიძე
- მვლ. მნუჭიძე

## საქ. საბჭოთა რესპუბლიკანური ყრილობის გამო.

სოციალისტური აღმშენებლობის განსაკუთრებულ მომენტში იკრიბება სრულად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მკვლევართა დეპუტატთა საბჭოების მე-5-თე ყრილობა. ამოცანები და საკითხები, რომელიც ყრილობის დღის წესრიგში სდგას, სხვებით ნათელყოფენ ამ ისტორიული ეტაპის უდიდეს მნიშვნელობას. გივანტიური აღმშენებლობის აზვირთებული ტალღები, რომლებიც საბჭოთა საზოგადოებრივობის ცხოვრების ყველა კუნჭულებიდან მომდინარეობს, ერთის მხრივ და გამწვავებული კლასთა ბრძოლის შეუწყვეტელი პროცესი, მეორეს მხრივ, აი ის ფონი, რომელზედაც რელიეფურათ იშლება ჩვენი საქმიანობის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ძღვევამოსილ სოციალისტური აღმშენებლობის შეუჩერებელი წინსვლა ჩვენს ქვეყანაში და ახალ-ახალი პოზიციების გამაგრება კულტურულ-სამეურნეო ფორტებზე — კერძო კაპიტალისტურ ტენდენციების შესუსტებისა და თანდათანობითი ლიკვიდაციის გზით და საერთაშორისო ბურჟუაზიის სახიფათო აგრესიული პოლიტიკა, რომელიც ეკონომიურ-ხასიათის კრიზისებით არის გამოწვეული რევოლიუციონურ განწყობილებათა შესანელებლათ, — არის ის მდგომარეობა, რომელიც მიმდინარე პერიოდის მონაკვეთს ახასიათებს. ეს აღნიშნული გარემოებანი მოითხოვს ყრილობის ყურადღების მაქსიმალურ მობილიზაციას პარტიისა და ხელისუფლების დირექტივების გარშემო დასარაზმავათ, რათა ნაყოფიერი წარმატებით გადაეცქრათ ის საკითხები, რაც ყრილობის წინაშე სდგას. მიმდინარე ყრილობამ უნდა მოისმინოს მთავრობის 2 წლის მუშაობის ანგარიში: პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მოღვაწეობის ყველა დარგში; აქ წარმოდგენილი იქნება მთლიანი სურათი ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარეებისა. ის უდაო წარმატებანი, რომელიც გააჩნია საბჭოთა მთავრობას განეღილ მუშაობაში ზოგიერთ დეფექტებთან ერთად, ცხადია მეტად მდიდარ მასალას მისცემს ყრილობას მომავალ ამოცანების და გზების რაციონალურათ წარმათვაში.

ყრილობის წინაშე დასმული მრეწველობის 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმა და რესპუბლიკის დარაიონების საკითხი, მეტად მნიშვნელოვან გარემოებათ უნდა იქნეს მიჩნეული საბჭოების საქმიანობაში.

მთელი ჩვენი ეკონომიური კეთილდღეობის პრობლემა და ყოფა-ცხოვრების ახალი წესების ყალიბობა, ერთგვარ დამოკიდებულებაშია, ქვეყნის სამეურნეო-საწარმოვო ძალთა სასიცოცხლო არტერიების შემოქმედებითი გაშლასთან; ამიტომ ინდუსტრიალიზაციის განხორციელება იმ გზითა და ტემპით, რომელიც პარტიამ დაუსახა ხელისუფლებასა და მრავალმილიონიან მშრომელ მოსახლეობას — სოციალისტური სექტორის შემდგომი განვითარებისათვის — უმთავრესად დამოკიდებულია ჩვენი სამეურნეო და ადმინისტრატიულ ორგანოთა გეგმიან მუ-

შაობაზე. ეს გეგმიანი მუშაობა 5—წლიან საპერსპექტივო პერიოდში უსათუოდ უნდა ითვალისწინებოდეს იმ კონკრეტულ ღონისძიებათ ჩვენი პირობების მიხედვით, რომლითაც შესაძლებელი იქნება ინდუსტრიალიალურ მსხვილი მრეწველობის განვითარების გვერდით, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ახალ ტექნიკურ საშვალებათა გამოყენების ნიადაგზე და აქედან შეუჩერებელი აღორძინება—კოოპერაციის გზით. მიუხედავად იმისა, თუ რა სიძნელესაც არ უნდა შეიცავდეს ჩვენი სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგების დაგეგმილი მუშაობა—რომლებიც ზოგჯერ შეუსწავლელ ეკონომიურ კათეგორიის კანონებს ემორჩილებიან—მაინც აუცილებელი და გადაუდებელი საქმეა გეგმიანი მუშაობის წარმოება. ამიტომ რესპუბლიკის უზენაესმა ორგანომ — ყრილობამ — თავის ავტორიტეტული სიტყვა უნდა სთქვას ამ საკითხის გარშემო.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია სამეურნეო და პოლიტიკურ-კულტურული თვალსაზრისით, რესპუბლიკის დარაიონების საკითხი, რომელიც ყრილობას წინაშე სდგას. ეს საკითხი დგება აგრეთვე ა/კ. მაშტაბით ჩვენი მოძმე რესპუბლიკების წინაშეც და თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მიზანშეწონილ ეკონომიურ-ადმინისტრაციულ ერთეულების ჩამოყალიბებას ექნება უაღრესი მნიშვნელობა ერთის მხრივ საწარმოო ძალთა სწრაფი და რაციონალური განვითარებისათვის ამა თუ იმ გეოგრაფიულ-კლიმატიურ თავისებურებათა გათვალისწინებით და მეორე მხრივ მართველობის აპარატი კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდება ფართო მშრომელ მოსახლეობას—მაშინ ცხადი იქნება, თუ რაოდენ სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს აღნიშნული საკითხის სათანადო მოგვარება. რა თქმა უნდა, წინასწარ ერთობ ძნელია იმ შეჭველათ დადებითი შედეგების გათვალისწინება და ზოგიერთ ნაკლულეფანებათა ზუსტი აღნუსხვა, რაც დარაიონების საქმეს უნდა მოყვეს, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ყრილობის დღეევატები, საქმიანი თვითკრიტიკით და თავიანთ მრავალი წლის პრაქტიკული გამოცდილებით, მიზანშეწონილად გადასჭრიან, როგორც ამ საკითხს, ისე სხვა პრავალ მტკივნეულ ამოცანებს, რომელიც მათი მუშაობის პროცესში წამოიჭრება.

ჩვენ დაბეჯითებით გვწამს, რომ ყრილობის დადგენილებანი გამსჭვალული იქნება მხოლოდ ერთი იდეით, ერთი სულისკვეთებით—სოციალიზმის ძლიერ-მოსილ აღმშენებლობის შემდგომი წარმატება, ლენინის ბოლშევიკური პარტიის კეკას დასახული გზით, ყოველგვარ დაბრკოლებათა დაძლევის საშვალებით ახალ გამარჯვებისაკენ!

---

**რევოლუციონური კანონიერება — კლასიურ ბრძოლის იარაღია სოციალიზმის მშენებელ მუშათა კლასის ხელში.**

---

## თემსაგზოს ამოცანები კაბალურ ხელშეკრულებებთან ბრძოლაში.

იმის განსაზღვრას, თუ რას წარმოადგენს კაბალური (შემბოჭველი) ხელშეკრულება ან რა შედეგი უნდა მოჰყვეს ასეთ გარიგებას— სამ. სამ. კოდექსის 33 მუხ. იძლევა. ამ მუხლით დადგენილია: „როდესაც ვინმე, უკიდურესი გაჭირვების გამო, თავისთვის აშკარად საზიანო გარიგებას დასდებს, სასამართლოს, დაზარალებული მხარის ან სათანადო სახელმწიფო ორგანოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოთხოვნით, შეუძლიან ან გააბათილოს გარიგება ანდა მოსპოს მისი მოქმედება შემდგომისათვის“.

აღნიშნული მუხლის მიხედვით კაბალურ გარიგებასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც: ა) ხელშეკრულება დადებულია კონტრაგენტის უკიდურესი გაჭირვების გამო და ბ) გარიგება აშკარათ საზიანოა დაზარალებული მხარისათვის.

მაშასადამე, თუ გარიგება შეიცავს უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ ლატაკის ექსპლოატაციას, ისე, რომ ექსპლოატატორ-კონტრაგენტი ამ გაჭირვებულ მხარის მდგომარეობას თავის სასარგებლოთ იყენებს: მოტყუილების, მუქარისა და ძალადობის გარეშე—მაშინ ხელზე გვაქვს კაბალური გარიგება. \*).

იმისათვის, რომ წარმატებით ვებრძოლოთ კაბალურ გარიგებებს, როგორც გაჭირვებაში მყოფ პირთა ექსპლოატაციის სახით კერძო კაპიტალისტურ ტენდენციების გამოძვლავნებას, საჭიროა მისი იურიდიული კონსტრუქციის გაშლა და იმ კონკრეტ ღონისძიებათა მითითება, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ სათანადო ორგანოებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა (გლენკომები პროფკავშირები და სხვ.).

სასამართლო პრაქტიკაში ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც სამ. სამ. კოდექსის 33 მუხ. გამოყენებისა და ვაგების დროს ადგილი ქონდა ერთგვარ ბუნდოვანობას; საქმე იმაშია, რომ კაბალურ გარიგებებთან ბრძოლის წარმოება ბევრათაა დამოკიდებული იმ გარემოებაზე, თუ როგორ გაეიგებთ კანონის აზრს „უკიდურეს გაჭირვებისა“ და „აშკარათ საზიანო“ შესახებ. რ.ს.ფ.ს.რ. უზენაეს სასამართლოს სამოქ. საკ. კოლეგიის მოხსენებაში 1926 წ. ხაზგასმით არის მითითებული ამ გარემოებაზე \*\*) და აღნიშნავს, რომ „უკიდურესი გაჭირვების“ ცნების ვიწრო განმარტება შეცდომათ უნდა ჩაითვალოს და არ შეეფერება ჩვენი სამართლის პოლიტიკას.

საკითხის გამორკვევა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობა უნდა ჩაითვალოს „უკიდურეს გაჭირვებათ“ ყოველ კონკრეტულ გარემოვითარების და ვარიანტების ფაქტიურ შემადგენლობის ანალიზით უნდა ხდებოდეს, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ ის გარემოება, რომ უკიდურესი გაჭირვება პირისა,

\*) იხ. Ф. И. Вольфсон „Гражданское право“ изд. второе стр. 32. Москва 1929 г.

\*\*) „Судебн. практ“ № 24—1927 г.

რომელიც ამა თუ იმ ხელშეკრულებას სდებს, არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ეს უკანასკნელი გამოუვალ მდგომარეობაში იყოს. მაგ. ლარიბმა გლებმა ისესხა კულაკისაგან 200 მანეთი, რათა ამით შეიძინოს ხარები და არ დარჩეს დაუთესავი მიწა, პირობაში აღუთქვა გამსესხებელს, რომ სამ თვეში დაუბრუნებს თავის ფულს და აგრეთვე პროცენტებში იმუშავებს მის სასარგებლოთ: ათდღის განმავლობაში ხენის დროს თავის ხარებით; ხუთი დღე თვითონ მოეხმარება თონხაში; თავის ჟრმით მოუზიდავს 1/2 საე. შეშას, რომელიმე ადგილიდან და ორი გზობა წაუღებს სხვადასხვა ჭირნახულს გასასყიდათ მახლობელ ბაზარზე. ვთქვათ, საქმეში გამოირკვა ის გარემოებაც, რომ გლებს, რომელმაც ისესხა ფული ასეთ პირობებში, ჰყავდა წვრილფეხა საქონელი ან-და ჰქონდა სახლი რომლის გაყიდვითაც შეეძლო არ დაედვა ასეთი გარიგება ე. ი. ჰქონდა ერთგვარი საშუალება და გამოსავალი მდგომარეობიდან. უნდა იქნეს ოუ არა ასეთი გარიგება ცნობილი, როგორც კაბალური? ცხადია, რომ ამ შემთხვევაში, ისე როგორც ყველა სხვა შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს: ყიდვა-გაყიდვის, სესხება-გასესხების, გაცვლა-გამოცვლის, იჯარისა და სხვ. გარიგებებს ისეთ პირობებში, როდესაც ხელშეკრულება აშკარათ საზარალოა გაჭირვებაში მყოფი პირისათვის—ადგილი აქვს კაბალურ ხელშეკრულებას.

კაბალური ხელშეკრულება, რომელიც უმთავრესათ სოფლის პირობებშია გავრცელებული, წარმოადგენს ფარულ ექსპლოატაციას მოჯამაგირეების და ღარიბი ხელმოკლე გლეხობისას ერთი მხრივ და სიმდიდრის პარაზიტულ დაგროვებას კულაკურ-ნეპმანურ ელემენტების სასარგებლოთ მეორეს მხრივ. ამიტომ გასაგებია ის გარემოება, რომ ხელისუფლების მიერ აღებული კურსი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და ფართო სოციალისტური აღმშენებლობის გაშლა გამწვავებულ კლასთა ბრძოლის პირობებში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, არ შეიძლება სასურველათ იქნეს დამთავრებული თუ არ შევსძელით კაპიტალისტურ ელემენტების პოლიტიკურ და ეკონომიურ სარბიელიდან სრული გაძევება, სათანადო მატერიალურ და უფლებრივ ღონისძიებათა გამოყენებით.

იმ ორგანოებთა შორის, რომლებიც მოწოდებულნი არიან კერძო კაპიტალისტურ ტენდენციებთან საბრძოლველათ უფლებრივ საშვალებათა მეოხებით, პირველი ადგილი იუსტიციის ორგანოების გვერდით, მილიციას და თემსაბჭოს პრეზიდიუმებს უნდა დაეთმოთ. საქ. იუსტსახკომმა 1927 წ. 2 თებ. № 1—2 და 1929 წ. 11 იანვ. № 208—02 ცირკულარებში გარკვევით მიუთითა: პროკურატურის, სასამართლო-საგამომძიებლო და მილიციის ორგანოებს, იმის შესახებ თუ რა მეთოდებით და რა ტემპით უნდა წარმათულიყო ბრძოლა კაბალა-მევახშეობის წინააღმდეგ, მაგრამ სამწუხაროთ, ის სტატისტიკური ცნობები, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია მევახშეობის შესახებ, ოდნავადაც ვერ იძლევა სასურველ შედეგს.\*) 1928 წლის სტატისტიკური ცნობები მევახშეობისათვის მჯავრდადებულთა შესახებ ასეთ სურათს იძლევა:

\*) იხ. ამის შესახებ ანხ. ი. ტაღაბაძის წერილი „სასამართლოს ამოცანები კულაკთან ბრძოლის ფრონტზე“ ჟურ. „საბჭოთა სამართალი“ გვ. 5—8. № 1 1929 წ.





თუ გავითვალისწინებთ იმ გარემობას, რომ უმრავლეს შემთხვევებში კაბალური გარიგებანი სიტყვიერ ფორმაში ხდება და საერთოდ იშვიათად აღწევს სასამართლოს კამერამდე და აგრეთვე იმასაც, რომ სასამართლოები უფრო ხშირათ აბათილებენ ასეთ ხელშეკრულებათა ვალდებულების ძალას და საქმეს არ ეძლევა სისხლის სამართლის წესით მსვლელობა, მაშინ აშკარათ დავინახავთ თუ რა უდიდესი მოვალეობა აწევთ თემსაბჭოების პრეზიდიუმებს შემოჭველ ხელშეკრულებებთან ბრძოლაში. მოყვანილი ცხრილი სავსებით ადასტურებს იმ გარემობას, რომ ზოგიერთი სასამართლო ორგანოები ჯეროვანათ ვერ აფასებენ ხელისუფლების კლასიურ პოლიტიკას და დამნაშავე მეგახშეთათვის მსუბუქ სოციალურ და ცვის ღონისძიებას მიმართავენ. ფაქტი იმისა, რომ მთელი წლის განმავლობაში 16 კაცამდეა, სასამართლებული ასეთი დანაშაულობრივი ქმედობისათვის და მათ შორის უმრავლესობა ამინსტიის საფუძველზე გაუმართლებიათ ანდა ის გარემოება, რომ ქონების კონფისკაციისა და სისტ. იზოლიაციის არც ერთ შემთხვევას არ ქონია ადგილი, ამის თვალსაჩინო ილიუსტრაციაა. შეიძლება ეს გარემოება იმითაც აიხსნებოდეს, რომ სასამართლო ორგანოები მეტად დატვირთულია მუშაობით და ისე უშუალო და შეუწყვეტელ დამოკიდებულებაში არ იმყოფება მოსახლეობასთან, როგორც თემსაბჭოები, რომელნიც ადგილობრივ მართველობის ორგანოებს წარმოადგენენ და თავიანთ საქმიანობაში თემის ცხოვრების ყველა მხარეებს ადევნებენ თვალყურს. ამისათვის იყო, რომ სრ. საქ. ც. ა. კ. თავის დადგენილებაში № 63 „საბჭოთა მმართველობის ადგილობრივ ორგანოების უფლება-მოვალეობათა გაფართოების შესახებ“, შეიტანა მე-7-დე მუხლი, რომელიც ლაპარაკობს: „უფლება მიეცეს სათემო საბჭოს პრეზიდიუმს ადგილობრივ სახალხო სასამართლოებში სარჩელის წარდგენის—კაბალურ ხელშეკრულებათა გაბათილების შესახებ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 33 მუხლის თანახმად, რისთვისაც ხელახალი რედაქცია გაუკეთდეს სათემო საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების შესახებ გამოცემული დებულების 51 მუხლის „ზ“ პუნქტს“. კანონის ასეთი დადგენილების განსახორციელებლათ რა კონკრეტულ ღონისძიებებს უნდა მიმართოს თემსაბჭოებმა თავის საქმიანობაში?

1. თემსაბჭოებმა უნდა შემოიღონ რეგისტრაცია ყველა იმ გარიგებათათვის, რომელიც დაიდება გლეხებისა და მოჯამაგირეების მიერ სოფელში. ეს გარემოება საშუალებას მისცემს მათ, რათა შეუწყვეტელი თვალყური ადევნონ სოფლის ცხოვრების მოძრაობას ერთის მხრივ და რევოლიუციონური კანონიერების გატარებას ადგილობრივ—მეორე მხრივ. რეგისტრაციის დროს საფუძვლიანათ უნდა განიხილონ ხელშეკრულებანი და თუ აღმოჩნდება კაბალური ელემენტები უარი უთხრან რეგისტრაციაზე, ხოლო სათანადო შემთხვევაში უფლებამოსილი ხელისუფლების ორგანოებს მიაწოდონ შესაფერი ცნობები მეგახშეთა შესახებ. თუ ეს ამოცანები წინდაწინვე არ იქნა გათვალისწინებული, მაშინ ხელშეკრულებათა რეგისტრაცია გადაიქცევა მავნე ბიუროკრატიზმით და ფორმალობათ.

2. თემსაბჭოებმა უნდა აღძრან საქმეები სათანადო სახ. სასამართლოში სისხ. სამართლის წესით პასუხისმგებში მისაცემათ იმ პირთა შესახებ, ვისაც ბრალი მიუძღვის კაბალა-ექსპლოატაციაში.

3. აღძრან სამოქალაქო სარჩელი კაბალურ გარიგებათა გასაბათილებლათ. ეს არა მარტო უფლებათა თემსაბჭოების არამედ მოვალეობაც და ისინი ვალდებულია დაიცონ ღარიბი გლეხობის, მოჯამაგირეთა და წითელარმიელთა ოჯახების ინტერესები სასამართლოშიც. ხოლო თუ თემსაბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარე ინიციატივას არ გამოიჩენს აღნიშნულ საქმიანობაში, მაშინ საჭიროა ოვითონ მიეცენ პასუხისგებაში ხელისუფლების უმოქმედობისათვის, როგორც თანამდებობრივი დამნაშავენი \*).

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება ადგილობრივ პირობების მიხედვით, საჭიროა მიმდინარეობდეს ფართო პროლეტარულ მასების თვითმოქმედების ნიშნით, რათა საესეებით და მთლიანათ დაეიცოთ ღარიბ-საშუალო გლეხობის და მოჯამაგირეთა ინტერესები კულაკების ექსპლოატაციისაგან და საბჭოთა კანონების პოპულიარიზაციით და რევოლიუციონურ კანონიერების გატარების გზით, სრულიად უზრუნველყოთ პარტიისა და ხელისუფლების ღირექტივების განხორციელება სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში.

**ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გატარებით, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციით, სახელმწიფოს მართველობაში მშრომელთა ახალ-ახალი მილიონების ჩაბმით, მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებით და კულტურის ამაღლებით ჩვენ შევასრულებთ ბელადის ანდერძს.**

**ლენინურ საქმის მოღალატეთა ჩამოშორებით—წინ, შემდგომ მონაპოვრებისაკენ!**

\*) იხ. В. Арсеньев и Е. Домбровский „что такое кабальные сделки и как с ними бороться“ стр. 18—19 და სვ. Москва 1929 г.

## საკავშირო მიწის ძირითად კანონის პრინციპების შესახებ \*)

მიწის ძირითად კანონში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ იმ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ საადგილ-მამულო ურთიერთობის განვითარების გეზს. მიუხედავად საადგილ-მამულო პოლიტიკის მიმართულებისა კოლექტიურ მეურნეობათა განვითარების ხაზით, მიწის ძირითადი კანონი ხელუხლებლად სტოვებს მიწის შრომითი სარგებლობის უფლების ორგანიზაციულ ფორმებს და კოლექტიურ ფორმებზე გადასვლის ნებაყოფლობით პრინციპს.

მიწის კოდექსში ეს დებულება გამოხატულია შემდეგნაირად: „მიწის მოსარგებლეს შეუძლიან განახორციელონ თავისი უფლება მიწაზე: ა) როცა ის შედის რომელიმე სასოფლო-სამეურნეო კოლექტივში და მიწათსარგებლობის სფეროში ემორჩილება ამ კოლექტივის წესს, ან ბ) დამოუკიდებლად, საადგილ-მამულო კოლექტივის გარეშე“. თუ ხსენებულ მუხლში სიტყვას „კოლექტივის“ გავეგებთ პირდაპირი მნიშვნელობით, გამოდის, რომ მიწის კოდექსში იცის მხოლოდ ორი ორგანიზაციული ფორმა მიწის სარგებლობისა: კოლექტიური და ცალკე, დამოუკიდებელი ერთპიროვნული მეურნეობისა. მაგრამ ეს ასე არ არის და ამაში გვარწმუნებს მიწის კოდექსის ის მუხლები, სადაც ლაპარაკია სარგებლობის სამ წესზე: ნაჭრობით, სათემო და საამხანაგო წესზე.

მიწის ძირითადი კანონი სიტყვა „კოლექტივის“ ნაცვლად ხმარობს უფრო ფართო შინაარსის ცნებას. ამ კანონის 7 მუხლში ვკითხულობთ: „იმას, ვისაც აქვს უფლება მიიღოს მიწა, შეუძლია მიიღოს მიწა შრომითი სარგებლობისათვის მიწათმოსარგებლეთა ერთ-ერთ არსებულ გაერთიანებაში შესვლის მეშვეობით ან ახალი მიწათსარგებლობის დაარსების გზით“. მოყვანილი დადგენილება ეხება არა მარტო იმ შემთხვევას, როცა მიწა მისაღებია იმ მოქალაქის მიერ, რომელსაც აქვს უფლება მიწის მიღებისა, არამედ იმ შემთხვევასაც, როცა მიწა უკვე მიღებულია, ე. ი. უკვე არის მიწის სარგებლობის სუბიექტი და საქმე მდგომარეობს მიწაზე უფლების განხორციელებაში მიწის სარგებლობის ამა თუ იმ ორგანიზაციულ ფორმაში.

თუ შევადარებთ ერთმანეთს მიწის კოდექსის და მიწის ძირითადი კანონის მოყვანილ დადგენილებებს, დავინახავთ, რომ მიწის ძირითადი კანონი თავის სწორი ტერმინოლოგიით გამოხატავს მიწაზე უფლების განხორციელების თავისუფლებას, რაც ცნობილია მიწის კოდექსითაც. მაგრამ მიუხედავად მიწის სარგებლობის ორგანიზაციულ ფორმების არჩევის თავისუფლებისა ასეთი არჩევის დროს სასწორი უნდა გადაიხაროს იმ მხარეზე, სადაც კოლექტიური მეურნეობა სწვრია, თუ კი საორგანიზაციო ფორმების შეფასება დაემორჩილება არა მეურნეობის დამოუკიდებლობის პრინციპს, არამედ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების ინტერესს.

\*) დასასრული. იხ. „საბ. სამ“ № 4—5.

როგორც იმ შემთხვევისთვის, როცა მიწა მისაღება სახელმწიფოსაგან და იმას, ვისაც უნდა მიეცეს მიწა, თავისუფლად არჩევს მიწის სარგებლობის ორგანიზაციულ ფორმას, ისე იმ შემთხვევისათვის, როცა უკვე არის მიწის შრომითი სარგებლობის სუბიექტი და ამ სუბიექტს მეტი შესაძლებლობა აქვს ესა თუ ის ორგანიზაციული ფორმა აირჩიოს, მიწის ძირითად კანონში გატარებულია განსხვავება, რომელიც ეკონომიური კეთილდღეობის სასწორს ხრის მიწის სარგებლობის კოლექტიურ ფორმების სასარგებლოდ.

პირველ ყოვლისა დაწესებულია მიწის მიღების რიგობა. უპირატესი უფლება მიწის მიღებასა შრომითი სარგებლობისათვის აქვთ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებს, აგრეთვე ღარიბ და საშუალო, უმიწაწყლო და მცირე მიწაწყლიან მოსახლეობას (მუხ. 8). გარდა ამისა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები და დასახლებული მოსახლეობა სარგებლობენ იმგვარივე უპირატესობით მისაღები მიწების ღირსებისა და მდებარეობის ამორჩევაში (უფლება უკეთესსა და უფრო მარჯვე მდებარეობის მიწაზე).

უპირატესობანი დაწესებულია მიწათმოწყობის საქმეშიც.

მიწის ძირითადი კანონის 17 მუხლის მიხედვით მიწათმოწყობა კოლექტიურ მეურნეობათა საადგილ-მამულო სივრცის ორგანიზაციისათვის სწარმოებს რიგს გარეშე, ხოლო სხვა მიწათმოსარგებლეთა მოთხოვნით იგი სრულდება პირველ რიგში იმათთვის, რომლებიც ყველაზე უფრო უწყობენ ხელს სოფლის მეურნეობის ჩაბმას კოოპერაციაში, მის კოლექტივიზაციას და ტექნიკური დონის ამაღლებას. ამას თუ დაუკავშირებთ ამავე მუხლის უკანასკნელ დებულებას, სადაც დადგენილია, რომ მიწათმოწყობა იმათ განცხადების მიხედვით, რომელთა მიზანია განცალკავებული, დამოუკიდებელი მეურნეობის შექმნა, სწარმოებს უკანასკნელ რიგში და ასეთი განცხადება შეიძლება დატოვებულ იქნეს უშედეგოთ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი მეურნეობის შექმნა იწვევს კულაკობის ზრდასა და გაძლიერებას, სრულიად გასაგებია მიწათსარგებლობის რა ორგანიზაციული ფორმა უნდა აირჩიოს მიწის მოსარგებლემ, თუ იგი, ამ საკითხს განიხილავას საკუთარი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

მიწის ძირითად კანონში განმტკიცებულია მიწის სარგებლობის ორგანიზაციულ ფორმების არჩევის თავისუფლება. ამ პრინციპს განმარტავს შემდეგი დებულება: „დაცულია მეურნეობის კოლექტიურ (და სხვა საამხანაგო) ფორმებზე გადახვლის ნებაყოფლობა“ (29 მუხ.).

მაგრამ საბჭოთა სახელმწიფო მიწის ძირითადი კანონით ქმნის კოლექტიურ მეურნეობის განვითარების მიზნით ისეთ პირობებს, რომლებიც აადვილებენ ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების საკეთილდღეოდ, ძალებისა და ქონების დაგროვებას მთლიან და მტკიცე სამეურნეო ერთეულებში.

ხსენებული კანონის 19 მუხლის თანახმად კოლექტიურ მეურნეობებს აგრეთვე გლახთა სუსტ მეურნეობებს მიწათმოწყობის დროს უპირატესობა ეძლევათ სხვა მშრომელ მიწის მოსარგებლესთან შედარებით იმ მიწების მიღებაში, რომლებსაც უფრო მარჯვე მდებარეობა აქვთ, რომელთა გაადვილებული დამუშავება შესაძლებელია და რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან წესიერი მეურ-



ნეობისათვის საჭირო საბალახე-საძოვარი ადგილებით, წყლით და გზებით. ამ უპირატესობას ემატება 20 მუხლში გათვალისწინებული უპირატესობა, რომლის მიხედვით ყველა ღარიბი, ხელმოკლე-საშუალო გლეხისა და ყველა კოლექტიური მეურნეობის მიწათმოწყობა სახელმწიფო ხარჯზე სწარმოებს, სხვა მიწის მოსარგებლეთათვის კი მიწათმოწყობი სამუშაოს შესრულებისათვის შეიძლება სასყიდელი დაიდოს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის წესით.

იმ ღონისძიებათა მითითებას, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ მიწის სარგებლობის კოლექტურ და სხვა საამხანაგო ფორმებზე გადასვლას, ჩვენ ვპოულობთ ძირითადი კანონის 29 მუხლში. აქ აღიარებულია, რომ გლეხობის გაერთიანება კოოპერაციაში არის სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის მთავარი გზა და რომ ხელმოკლე გლეხობის თვალსაჩინო ფენების მეურნეობათა განვითარებისათვის არსებობს მხოლოდ ერთად-ერთი გზა—მიწის სარგებლობის საამხანაგო ფორმებზე გადასვლის. ამიტომ სახელმწიფო განსაკუთრებულ დახმარებას უწევს და ხელს უწყობს კოლექტიურ მეურნეობათა (კომუნების, არტელების, ამხანაგობების) შექმნასა და მოქმედებას. ამიტომ გასაგებია ის ეკონომიური და ფინანსიური დახმარება სახელმწიფოსაგან, რასაც მიწის ძირითადი კანონი ითვალისწინებს და რაც ნაწილობრივ განხორციელებული უნდა იქნეს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით. ეს შეღავათები და დახმარება შემდეგია: ა) შეღავათები ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საქმეში; ბ) ერთპიროვნულ მეურნეობებთან შედარებით უპირატესობა შეღავათიან კრედიტის მიღებაში, რა მიზნითაც გაძლიერებული უნდა იქნეს კოლექტიურ მეურნეობათა გრძელვადიან კრედიტების ფონდი; გ) კოლექტიურ მეურნეობათათვის შრომით სარგებლობაში გადაცემა იმ მიწისა, რომელიც მათსაიჯაროთ მიიღეს სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების შემადგენლობიდან ძირითადი კანონის გამოცემამდე; დ) კოლექტიური მეურნეობათათვის უსასყიდლო სარგებლობასა და განკარგულებაში გადაცემა იმ სამრეწველო და დამხმარე საწარმოთა, შენობათა, ინვენტარისა და სხვ., რომლებიც მათ მიიღეს ძირითადი კანონის გამოცემამდე; ე) კოლექტიურ მეურნეობათა უზრუნველყოფა სასოფლო-სამეურნეო მანქანებითა და იარაღით, მინერალური სასუქით, თესვით, ჯიშინი საქონლით და სხვ., ერთპიროვნულ მეურნეობებთან შედარებით უპირატეს და შეღავათიან პირობებში; ვ) მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაში უნდა იყოს დაწესებული, რომ იმ მიწათმოსარგებლებს, რომლებიც მეურნეობის კოლექტიურ ფორმებზე გადადიან სარფიანი და შეღავათიანი პირობები ჰქონდეთ ეკონომიურ ღონისძიებათა ყველა ხაზით.

31 მუხლში გათვალისწინებულია, რომ მიწის ხელახლად განაწილებისა და მიწათმოწყობის დროს ის მიწა, რომელიც საზოგადოებრივ დამუშავებაში იმყოფება, სათანადო მიწის მოსარგებლებს რჩებათ თუნდაც იგი აღემატებოდეს მიწის იმ რაოდენობას, რომელიც მათ წილად მოდის დაწესებული ნორმის მიხედვით,

ცხადია, როცა ლაპარაკია მიწების გადანაწილებაზე საადგილ-მამულო საზოგადოებაში შემავალ მეურნეობათა მიმართ, რომელთა შორის სარგებლობის სხვა წესია განმტკიცებული, ამ სხვა წეს ვერ მივაკუთნებთ მიწის სარგებლობის

იმ წესს, რომლის მიხედვით უნდა იყოს მიწის სარგებლობის გაერთიანება დასაშუალებლად საერთო ძალებით და სახსრით და არა მხოლოდ მიწის საზოგადოებრივი დამუშავება. დამუქიდებლად იმისა, მიწის სარგებლობას რა წესიც უნდა არსებობდეს, და აგრეთვე დამოუკიდებლად იმისა, ხორციელდება თუ არა ესა თუ ის წესი მიწის სარგებლობისა საადგილ-მამულო საზოგადოებაში, თუ მის გარეშე, მიწის განაწილება მიწის მოსარგებლეების შორის (ეს უნდა იქნეს დაწესებული მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით) ნებადართულია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში: ა) თუ მიწათმოწყობა სწარმოებს; ბ) თუ გადასვლა ხდება მეურნეობის გაუმჯობესებულ ფორმებზე; გ) თუ კულაკობასთან ბრძოლის საჭიროება მოითხოვს; დ) თუ მიწა მოსარგებლებს ჩამოერთმევათ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის.

მიწის განაწილება პირველ შემთხვევაში გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ მიწის ძირითად კანონის 15 მუხლის დადგენილებას, სადაც განსაზღვრულია მიწათმოწყობის მიზანი. ეს მიზანი იმაშია, რომ მიწის სივრცე ისე მოეწყოს, რომ დაცულ იქნეს მოსახლეობის უფლება მიწათსარგებლობის ფორმათა თავისუფალი ამორჩევისა.

ხსენებულ მუხლის მეორე დებულებას შემდეგი აზრი აქვს: **მიწათმოწყობამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობის საერთო გინვითარებას, მის ჩაბმას კოოპერაციაში და მის კოლექტივიზაციას.**

მიწის განაწილება მიწათმოწყობის დროს აქტუალური ხდება იმ შემთხვევაშიაც, როცა მეურნეობათა გამაუმჯობესებელ ფორმებზე გადასვლის გამო, **კულაკობასთან ბრძოლა საჭირო.**

სრულებით ცალკე სდგას უკანასკნელი შემთხვევა მიწის განაწილების შესაძლებლობისა, სახელდობრ ის შემთხვევა, როცა მიწა უნდა ჩამოერთვას მის მოსარგებლებს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. ამ შემთხვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

გარდა მიწის განაწილებისა, მიწის ძირითადი კანონი ითვალისწინებს მიწის ნაწილობრივი ხელახალი განაწილების შესაძლებლობას. ამის შემოღების უფლებას ძირითადი კანონი მოკავშირე რესპუბლიკებს ანიჭებს. ძირითადი მიწის კანონის 14 მუხლში მოიპოვება სიტყვის „ნაწილობრივ ხელახალი განაწილების“ განმარტება ზოგიერთ მაგალითების ჩამოთვლით, როგორცაა მიწის იმ რაოდენობის ჩამორთქვეა, რაც ნორმას აღემატება, ნორმის დაკლება მიმატება და სხვ.

**სასამართლო — არის ორგანო უღარიბეს მშრომელთა მასების სახელმწიფო მართვლედობაში ჩაბმისა... სასამართლო არის პროლეტარული ხელისუფლების და უღარიბეს გლეხობის ორგანო... სასამართლო არის დისციპლინაში აღზრდის იარაღი.**

(ლენინი. 1918 წ. 29/IV საბჭ. ხელის. მორიგი ამოცანები ტომი XV, გვ. 216).

## მ. ქორძაშვილი.

### ხასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება.

სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე შეიძლება მოყვანილი იქნეს სისრულეში, როცა გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული (სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 186 მუხ.), ან იმ შემთხვევაში, როცა გადაწყვეტილება კანონის თანახმად წინასწარ უნდა იქნეს შესრულებული (სამოქ. საპრ. კოდ. 187, 187<sup>1</sup> და 187<sup>2</sup> მუხ.).

როდესაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სრულდება, მაშინ აღსრულების შეჩერება შეიძლება თვით გამომწვევით განცხადებით (სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 265 მუხ.), ან რესპუბლიკის პროკურორისა და ჯუზენაეს სასამართლოსთან განწესებული მისი თანაშემწის განკარგულებით (სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 254 მუხ.), შრომის საქმეებზე სასამართლოს წყობილების დებულების 136 მუხ. თანახმად და სამოქ. საპრ. კოდ. 254 მუხ. ანალოგიით აღსრულების შეჩერების უფლება ეკუთვნის აგრეთვე შრომის სახალხო კომისარს და შრომის პროკურორს.

სამ. სამ. საპრ. კოდ. 254 მუხ. თანახმად გადაწყვეტილების შეჩერების უფლება გათვალისწინებულია საქმის ზედამხედველობის წესით გადასინჯვანდემის გამო 254 მუხ. წესით გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების უფლება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ დროზე, სანამ შესაძლებელია საქმის ზედამხედველობის წესით აღძვრა. სამოქ. საპრ. კოდ. 254<sup>2</sup> მუხ. თანახმად ზედამხედველობის წესით საქმის აღძვრა შეიძლება მხოლოდ ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა; შრომის კონფლიქტების განხილვის წესების მე-63 მუხ. (კან. კრებ. ს. ს. რ. კ. 1928 წ. № 56 მუხ. 495) თანახმად კი, შრომის სესიის გადაწყვეტილებაზე პროტესტის შეტანა ზედამხედველობის წესით შესაძლებელია მხოლოდ არა უგვიანეს სამი თვისა გადაწყვეტილების გამოტანის და არა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეჩერება სამოქ. საპრ. კოდ. 254 მუხ. წესით სამოქალაქო საქმეზე არ შეიძლება ექვსი თვის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან, ხოლო შრომის საქმეზე სამი თვის გასვლის შემდეგ დღიდან გადაწყვეტილების გამოტანისა.

გადაწყვეტილების წინასწარ აღსრულებისათვის კანონით ორი წესია შემოღებული.

სამოქალაქო საპრ. კოდ. 187 მუხ. თანახმად, ამ მუხლში გათვალისწინებულ შემთხვევებში გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შესრულებული, თუ გადაწყვეტილება არ არის მიმართული სახელმწიფო ორგანოს წინააღმდეგ და არ მოიპოვება 187 მუხ. აღნიშნული პირობები. 187 მუხ. გათვალისწინებულ შემთხვევებში გადაწყვეტილების წინასწარი შესრულება დამოკიდებულია არა სასამართლოს დადგენილებაზე ამ საკითხის შესახებ, არამედ თვით გადაწყვეტილების შინაარსზე. თუ განვიხილავთ 187 მუხ. შინაარსს, დავინახავთ, რომ ამ

მუხლით დადგენილი წესი დამყარებულია ორ საფუძველზე: იმ გადაწყვეტილებების დაუყონებლივი შესრულება, რომლებიც ამ მუხლის „ა“ პუნქტშია მოხსენებული, ემყარება უფრო მოსარჩლეების მდგომარეობას, ვიდრე გადაწყვეტილების საფუძვლის უდაობას. კანონმდებლის აზრით დაუკმაყოფილებელი მუშა-მოსამსახურისა და სარჩოს მიზოვნელის მდგომარეობა იმდენად უმწეოა რომ მათ არ შეუძლიათ ცდა გადაწყვეტილების მეორე ინსტანციაში გადასინჯვამდე, რაკი პირველი ინსტანციის სასამართლომ მათი სარჩელი დასაკმაყოფილებლად სცნო, კანონმდებლის აზრით, გადაწყვეტილება უნდა შესრულდეს, თუნდაც მას გაუქმება მოელოდეს საკასაციო ინსტანციაში. 187 მუხ. „ა“ პ., რამდენადაც ეს ეხება სამუშაო ხელფასს, აქამად შეთანხმებულ უნდა იქნეს შრომის კონფლიქტების განხილვის წესების მე-59 მუხლთან, რომლის თანახმად სამუშაო ხელფასის შესახებ გადაწყვეტილება დაუყონებლივ უნდა იქნეს აღსრულებული მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მომუშავეს თვიურ ხელფასს არ აღემატება. აუცილებლად წინასწარ შესასრულებელი გადაწყვეტილების ასეთი შეზღუდვა განსაზღვრული თანხით ნათლად ამტკიცებს იმას, რომ ამ შემთხვევაში საფუძველი გადაწყვეტილების დაუყონებლივი შესრულებისათვის არის მოსარჩლე მშრომელის მდგომარეობა, მისი უზრუნველყოფის სურვილი.

187 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების დაუყონებლივი აღსრულება დამყარებულია სულ სხვა მოსაზრებაზე. აქ კანონმდებელი აქცევს მთავარ ყურადღებას გადაწყვეტილების საფუძველს. გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება მოპასუხის მიერ სასამართლოს წინაშე სარჩელის აღიარებას, ან იმ უდაო საბუთს, რომლის აღსრულება ახალი სანოტარო დებულების გამოცემამდე (კან. კრებ. ს. ს. ს. რ. 1928 წ. № 16 მუხ. 157) სასამართლოს ბრძანების წესით ხდებოდა, ხოლო ამ ქამად — სანოტარო კონტორების სააღსრულებლო წარწერით, კანონმდებელს უდაოდ მიაჩნია, და ამიტომ, მისი აზრით, ასეთი გადაწყვეტილების შესრულება შეიძლება საკასაციო ინსტანციაში გადასინჯვამდეც. იბადება საკითხი — შეიძლება თუ არა აღნიშნული გადაწყვეტილებების აღსრულების შეჩერება დი ვის შეუძლიან ასეთი გადაწყვეტილების შეჩერება.

ასეთი გადაწყვეტილება შესრულებული უნდა იქნეს დაუყონებლივ მიუხევათ იმისა, აღნიშნა თუ არა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მისი წინასწარი შესრულება. თუ გადაწყვეტილება, მისი შინაარსით, აკმაყოფილებს 187 მუხლის პირობებს, სასამართლოს უფლება არა აქვს არ გასცეს აღსრულების ფურცელი ასეთი გადაწყვეტილების შესასრულებლად. სასამართლოს განკარგულება, როგორც აღსრულების ფურცლის გაცემის შესახებ, ისე აღსრულების ფურცელის გაცემის შეჩერების შესახებ, შეიძლება განსაჩვირებული იქნეს სამ. სამ. საპ. კოდ. 197<sup>4</sup> მუხ. წესით უზენაეს სასამართლოში არა იმის შესახებ. სწორია თუ არა გადაწყვეტილება, არამედ იმას, აკმაყოფილებს თუ არა 187 მუხ. პირობებს გადაწყვეტილება. ეს საკითხი განიხილება მხოლოდ საკასაციო წესით. რომლის შესასრულებლათაც გაცემულია აღსრულების ფურცელი ან რომლის შესრულება არ არის დაშვებული სასამართლოს მიერ. მაგ. საჩივარში შეიძლება იმის მტკიცება, რომ გადაწყვეტილება შეეხება არა სამუშაო ხელფასს, არამედ





წარმომადგენლის გასაპრჯელოს, ან რომ გადაწყვეტილება ისეთ საბუთზე, რომელზედაც კანონით შესაძლებელია საღსრულებლო წარწერის გაკეთება და სხვა. უზენაეს სასამართლოს მხოლოდ ამ მხრივ შეუძლიან მიუღვეს საქმის განხილვას. თუ გამოირკვა რომ გადაწყვეტილება ნამდვილად აკმაყოფილებს 187 მუხ.

ამ რიგად სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 187 მუხ. წესით გადაწყვეტილების შესრულება შეიძლება შეჩერებულ იქნეს მხოლოდ უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის მიერ და მხოლოდ 187 მუხლის დარღვევის გამო. სამოქ. საპრ. კოდ. 254 მუხ. ასეთ შემთხვევაში ვერ შეეფარდება, და ამ მუხლით გათვალისწინებულ პირებს არ შეუძლიათ 187 მუხლის წესით შესასრულებლად წარმართული გადაწყვეტილებას აღსრულებას შეჩერება.

აქ შეიძლება დაიბადოს ის აზრი, თითქოს ერთგვარი უხერხულობა იქნება, სახელდობრ 187 მუხლით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას, თუ ეს მუხლზე არ არის დარღვეული, ვერავინ შეაჩერებს, სანამ იგი კანონიერ ძალაში არ არის შესული, მაგრამ შევა თუ არა ეს გადაწყვეტილება ძალაში, მისი შეჩერება შესაძლებელი ხდება 254 მუხლის წესით. რასაკვირველია სინამდვილეში შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როცა სარჩელს აღიმენტების შესახებ აკმაყოფილებს პირველი ინსტანცია, საკასაციო ინსტანცია ამ გადაწყვეტილებას ამტკიცებს, ხოლო შემდეგ ამ გადაწყვეტილების შეჩერება და გაპროტესტება ხდება 254 მუხლის წესით, მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ 254 და 254<sup>1</sup> მუხლები სწორად არ იქნება შეფარდებული. 154<sup>1</sup> მუხლის თანახმად პროტესტი ზედამხედველობის წესით შეიძლება განცხადებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოთხოვნილ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში აღმოჩენილი იქნება მომქმედი კანონების რაიმე „განსაკუთრებულად არსებითი დარღვევა“, ან მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ან და მშრომელთა მასის ინტერესების აშკარა, კანონის პირდაპირი მოთხოვნის საწინააღმდეგო დარღვევა. შრომის კონფლიქტების განხილვის წესების მე-63 მუხლის თანახმად ზედამხედველობის წესით შეიძლება გაპროტესტებულ იქნეს მხოლოდ შრომის სესიის გადაწყვეტილება და ისიც მხოლოდ „სრულიად განსაკუთრებულ შემთხვევებში“. თუ სამოქ. საპრ. კოდ. 254<sup>1</sup> მუხ. და შრომის კონფლიქტების განხილვის წესების მე-63 მუხ. სწორედ იქნა შეფარდებული, ის გადაწყვეტილება რომლის დაუყოვნებლივ შესრულება შესაძლებელია 187 და 187<sup>2</sup> მუხლების თანახმად, ზედამხედველობის წესით ვერ შეჩერდება. განა მშრომელისათვის ერთი თვის ხელფასის მისჯა, თუნდაც უსწოროდ, შეიძლება ჩაითვალოს იმ „სრულიად განსაკუთრებულ შემთხვევად“, რომელზედაც ლაპარაკობს შრომის კონფლიქტების განხილვის წესების მე-63 მუხლი? მაშინ რაღა უნდა იყოს ის უბრალო და ჩვეულებრივი შემთხვევა, როდესაც შრომის საქმეზე ზედამხედველობის წესით ჩარევა აკრძალულია? განა შესაძლებელია მოპასუხის მიერ სასამართლოს წინაშე სარჩელის აღიარებაზე დამყარებული გადაწყვეტილების შეჩერება 254 და 254<sup>1</sup> მუხლებისა თანახმად? განა შესაძლებელია ამავე მუხლის თანახმად შეჩერებულ იქნეს პროტესტქმნილ თამასუქზე დამყარებული გადაწყვეტილება. თუნდაც ეს გადაწყვეტილება სახელმწიფოს ორგანოს წინააღმდეგ იყოს მიმართული? სამოქ. საპრ. კოდ. 187 და 187<sup>2</sup> მუხ. და 254 და 254<sup>1</sup> მუხლებს შორის წინააღმდეგობა არ შეიძლება იყოს, თუ ეს მუხლები სწორად იქნა შეფარდებული.

გადაწყვეტილების წინასწარი აღსრულება შესაძლებელია აგრეთვე სამოქალაქო საპრ. კოდ. 187<sup>1</sup> მუხ. გათვალისწინებულ პირობებში. ამ მუხლის თანახმად მასში გათვალისწინებულ შემთხვევებში გადაწყვეტილება წარმართება დაუყოვნებლივ შესრულებისათვის სასამართლოს სპეციალური დადგენილებით, ე. ი. თუ ასეთი დადგენილება იქნება აღნიშნული გადაწყვეტილებაში. აქ უნდა მიუთითოდ, რომ 187<sup>1</sup> მუხ. „ა“ პუნქტში გათვალისწინებული გადაწყვეტილებები, რომლებიც დამყარებულია სანოტარო წესით დადასტურებულ დოკუმენტებზე, ახალი სანოტარო დებულების მე-46 მუხ. მე-2 პუნქტის თანახმად ამჟამად დაქვემდებარებული უნდა იქნეს 187 მუხ. „ბ“ პუნქტის წესებს, რადგან სანოტარო დებულების მე-46 მუხლის თანახმად ასეთი დოკუმენტების შესრულება შეიძლება მხოლოდ მოხდეს სააღსრულებლო წარწერით.

სასამართლოს დადგენილება წინასწარ აღსრულების შესახებ 187<sup>1</sup> მუხლის გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქ. საპრ. კოდ. 187<sup>4</sup> მუხლის თანახმად შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს კერძო საჩივრის წესით უზენაეს სასამართლოში. გადაწყვეტილების წინასწარი აღსრულების შეჩერება კერძო საჩივრის შეტანის გამო კანონით არ არის გათვალისწინებული. ასეთი შეჩერება რასაკვირველია სრულიად ზედმეტად გახდიდა წინასწარ აღსრულების წესს, რადგან ეს მისცემდა საბაბს საჩივრების შეტანისათვის ყოველ შემთხვევაში. უზენაესი სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველით განიხილავს განსაჩივრებულ დადგენილებას და გააუქმებს მას, თუ ამისთვის ჰპოვებს საკმაო საბაბს. ამ რიგად მხოლოდ განსაჩივრებული დადგენილების გაუქმებით შეიძლება 187<sup>1</sup> მუხლის თანახმად წინასწარ აღსასრულებლად წარმართული გადაწყვეტილების გაუქმება.

კვტრე კიჭირია

## გამასწორებელ სახლების განტვირთვის გარეშობა\*)

პენიტენციალურ მუშაკთა სრულიად საკავშირო ფრილობაზე, რომელიც ახლო წარსულში დამთავრდა—ჩვენმა დელაგატმა ანხ. ვ. დუმბაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამასწორებელი სახლები მეტად დატვირთულია სისხლის სამართლის წესით გასამართლებული პირებით და ეს გარემოება სასამართლო ორგანოთა მუშაობის სისუსტით უნდა იქნეს ახსნილი, ვინაიდან დამნაშავეების გამოსწორება „შეიძლება სხვა წესითაც“ო.

ეს „სხვა წესი“, რომელთაც შეიძლება დამნაშავეების გამოსწორება და გამასწორებელ სახლების განტვირთვაც, არის ე. წ. პირობითი მსჯავრის დადება,—ამგვარ მსჯავრდადებულთათვის სამზრუნველო ზედამხედველობის გაწვევით.

პირობითი მსჯავრის დადება გამოიხატება იმაში, რომ სასამართლო, იცნობს რა ბრალდებულს დამნაშავეთ მის მიმართ წაყენებულ ბრალდებაში, სათა-

\*) ავტორის ზოგიერთ მოსაზრებებს, რედაქცია არ იზიარებს.

ნადო სოციალურ დაცვის ღონისძიების შეფარდებით — იძულებითი მუშაობის ან თავისუფლების აღკვეთის სახით, დაადგენს, რომ ასეთი სასჯელი არ იქნეს მოყვანილი სისრულეში, თუ მსჯავრდებული სასამართლოს მიერ დანიშნულ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში არ ჩაიდენს ახალ არა ნაკლებ მძიმე დანაშაულს. იმ შემთხვევაში კი, როდესაც პირობითი მსჯავრდებული ჩაიდენს ახალ დანაშაულს გამოსაცდელათ დანიშნულ ვადის განმავლობაში — რაც 1 წლიდან 10 წლამდე განისაზღვრება — ეს პირობითი საჯელი მოყვანილი იქნება სისრულეში იმ სოცდაცვის ღონისძიებასთან შეერთებით რაც დადგინდება ახლად ჩადენილ დანაშაულისათვის, იმ პირობით, რომ ამ სოცდაცვის ღონისძიებათა შეერთების დროს თავისუფლების აღკვეთის ვადა არ აღემატება 10 წელს და იძულებით მუშაობა კი 1 წელიწადს (სისხ. სამართ. კოდექ. 50, 52, და 53 მ. მუხლ).

საჭიროთ მიგვაჩნია მოკლე ისტორიული მიმოხილვა გავაკეთოთ პირობითი სასჯელის ინსტიტუტის აღმოცენებასა და ევოლიუციის შესახებ, რათა დეტალურათ იქნეს გამოჩვენული თუ რა შედეგების მიღწევა შეიძლება ამ ინსტიტუტის სათანადო გამოყენებით დანაშაულობასთან ბრძოლაში და რეციდივის ასაცილებლათ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პირობითი მსჯავრის დადება, რომელიც აღმოცენდა ინგლისელ მოსამართლეთა პრაქტიკის ნიადაგზე გასულ საუკუნის ორმოციან წლებში, განვითარდა ამერიკაში ეგრედ წოდებული სამზრუნველო გამოსაცდელი ზედამხედველობის თანდართვით.

გასულ საუკუნის 80-ან წლებში პირობითი მსჯავრის დადება შემოღებული იქნა საფრანგეთსა და ბელგიაში იმ განსაზღვრით, რომ აქ დაწესებული იყო მხოლოდ სასჯელის პირობითი დადება და არა თვით მსჯავრის გამოტანის გადადება (როგორც ეს მიღებულია ინგლისსა და ამერიკაში) და ამასთან უარყოფილია პირობით მსჯავრდებულთა სამზრუნველო — გამოსაცდელი ზედამხედველობა.

საფრანგეთ ბელგიის, ანუ კონტინენტალურ სისტემას აქვს უპირატესობა ინგლის-ამერიკის სისტემასთან იმ მხრივ, რომ ის არ სცნობს მსჯავრის დადგენის გადადებას; მაგრამ ეს (კონტინენტალური) სისტემა ბევრათ ჩამორჩენილია ინგლის-ამერიკის სისტემაზედ იმით რომ ის უარპყოფს გამოსაცდელ ვადის განმავლობაში პირობით მსჯავრდებულთათვის სამზრუნველო გამოსაცდელი ზედამხედველობის მიზანშეწონილებას.

არის კიდევ მესამე სისტემა, რომელსაც ეწოდება ავსტრალიის სისტემა და რომელსაც შეთვისებული აქვს ორივე ზემოაღნიშნული სისტემების დადებითი მხარეები, ე. ი. გადადება მხოლოდ სასჯელის სისრულეში მოყვანისა (კონტინენტალური სისტემა), პირობითი მსჯავრდებულთათვის სამზრუნველო — საცდელი ზედამხედველობის დადგენით (ინგლის-ამერიკული სისტემა). ამის გამო დღეს პირობითი მსჯავრის დადების პროექტები ყველა სახელმწიფოში ავსტრალიის სისტემაზეა დამყარებული.

ავსტრალიის სისტემის უპირატესობა ინგლის ამერიკის და კონტინენტალურ სისტემების წინაშე ცხადია თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ: 1) მსჯავრის დადების გადადება (ინგლის-ამერიკის სისტემა) მძიმე ტვირთად აწვება

როგორც დანაშაულით დაზარალებულს, რომელიც დაინტერესებულია ზარალი ანაზღაურებით, აგრეთვე ბრალდებულს, რომელსაც ზოგ შემთხვევაში ურჩევნია მოიხადოს არა ხანგრძლივი სასჯელი, ვიდრე ხანგრძლივად დარჩეს გამოურკვეველ მდგომარეობაში და სასამართლოს მიერ დანიშნულ პირის ზედამხედველობის ქვეშ და 2) პირობითი მსჯავრის დადება ამ წესით მსჯავრდებულთა სამზრუნველო—გამოსაცდელი ზედამხედველობის გარეშე (კონტინენტალური სისტემა) ჰკარგავს თავის პენტენციურ გამასწორებელ მნიშვნელობას და ლეზლობს მხოლოდ ლმობიერების და პატიების ხასიათს, რაც თავის მხრივ აღწევს წინააღმდეგ მიზანს, ვინაიდან ის, კინც განიზრახავს დანაშაულის ჩადენას, უფრო გაბედულად შეასრულებს განზრახვას, როდესაც ის დარწმუნებულია იქნება, რომ ეს პირველი დანაშაული მას მაინც ეპატიება. სამზრუნველო გამოსაცდელი ზედამხედველობა, რომელიც შეიძლება შეეფარდოს მსჯავრდადებულს არა მხოლოდ მსჯავრის დადების შემდეგ, არამედ მსჯავრის დადებამდეც, ე. ი. დღიდან მის მიმართ საქმის აღძვრისა, აწვდის სასამართლოს საჭირო მასალას, რომ მან იქონიოს სწორი მსჯელობა სასჯელის ინდივიდუალიზაციის გამორკვევის დროს, რაც შეადგენს ახალი მიმართულების სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპს.

სასჯელის ინდივიდუალიზაცია, რაც მიმართულია მომავალში ახალი დანაშაულის ჩადენის ასაცდენად (პრევენცია), გამოიხატება დამნაშავის ინდივიდუალურ თვისებების და მის ფსიხიური მდგომარეობის გამორკვევაში (თუ რამდენად საშიშია იგი). დამნაშავის ასეთი თვისებების სისწორით გამორკვევა კი შესაძლოა სასამართლოსათვის მხოლოდ გამოსაცდელი—სამზრუნველო ზედამხედველობის საშუალებით, რასაც ასრულებენ ამისათვის განსაკუთრებული რწმუნებულნი, რომელთაც ეწოდებათ ამერიკაში probation officers (გამოცდის მოხელენი).

მაგრამ უმთავრეს დანიშნულებას სამზრუნველო ზედამხედველობისას, როგორც პატიმრობა-მოხდითა, აგრეთვე პირობით მსჯავრდადებულთათვის, შეადგენს პენელოგიის შემეცნებითი რეციდივის (დანაშაულის განმეორების) აცდენა მატერიალური და მორალური დახმარების მეშვეობით.

სისხლის სამართლის პოლიტიკის ახალ სოციოლოგიურ სკოლას დანაშაულობის წარმომშობ ფაქტორად, კაპიტალისტურ საზოგადოების სოციალ-ეკონომიური პირობები მიაჩნია და ამართლებს დასჯას იმდენად, რამდენადაც იგი მიმართულია დამნაშავეთა გასწორებისაკენ რეციდივის აცილებით.

აქედან კი ცხადია, რომ ს. ს. რ. კავშირის სისხლის სამართლის საფუძვლები და ჩვენი კოდექსიც პირობითი მსჯავრის დადებას სთვლის სასჯელად, თუმცა პირობითი მსჯავრი მოკლებულია სასჯელის ხასიათს.

მაგრამ საქმე ის კი არ არის, თუ რას ვუწოდებთ ჩვენ პირობით მსჯავრის დადებას, სასჯელს თუ სოციალურ დაცვის ღონისძიებას ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით საქმე ის არის, თუ როგორ უნდა მოეწყოს ეს ინსტიტუტი, რათა განტვირთულ იქნენ ჩვენი გამასწორებელი სახლები.

ჩვენი გამასწორებელი სახლების გადატვირთვა უნდა მიეწიროს არა იმდენათ ჩვენი სასამართლოების საქმეებით გადატვირთვას და სისუსტეს, არამედ

თვით ჩვენი კანონმდებლობის რედაქციულ ნაკლს, რაც გამოიხატება, ერთის მხრივ, პირობითი სასჯელის შეფარდების მოუწესრიგებლობაში და მეორე მხრივ — და ეს უმთავრესია, — პირობითი მსჯავრდადებულთათვის საცდელი — სამზრუნველო ზედამხედველობის უარყოფაში.

ჩვენი კოდექსის მიხედვით პირობითი მსჯავრის კონსტრუქციის ძირითად ნაკლს შეადგენსო, — ამბობს პროფ. პიონტკოვსკი, მიზანშეუწონლობა ჩვენს პირობებში საფრანგეთ-ბელგიის პირობითი მსჯავრის სისტემისა, რაც გატარებულია კოდექსში. ზედამხედველობის უარყოფა პირობით მსჯავრდადებულთათვის ფაქტიურად ჰქმნის პირობითი მსჯავრის დადებას საზოგადოებრივი გაკიცხვის ფორმად, ვინაიდან გამორკვევა იმისა, დაარღვია თუ არა ამა თუ იმ პირმა მოსა-საცდელი ვადის განმავლობაში დაკისრებული პირობები, ძლიერ ძნელია დამნაშავეთა რეგისტრაციის ჩვენს პირობებში წარმოების გამო. ამიტომ შესაძლოა, რომ პირობით მისჯილმა ჩაიდინოს დანაშაული გამოსაცდელ ვადის გასვლამდეც, მაგრამ სასამართლო ორგანოს არც კი ჰქონდეს ცნობა ამის შესახებ.

პირობითი მსჯავრის დადების ასეთი მიზანშეუწონილი მოწყობის შედეგია ის, რომ მკირდება რაოდენობა შემთხვევებისა, როდესაც პირობითი მსჯავრის დადებით შესაძლოა განხორციელდება უაღრესად მიზანშეუწონილი სისხლის სამართლის წესით იძულებისა, რომ მიეცეს დანაშაულის აცილების მიზნით მეტი წამახალისებელი ძალა და მან არ მიიღოს მხოლოდ საზოგადოებრივი გაკიცხვის სახე, მიზანშეუწონილია პირობით მსჯავრდებულთათვის მოეწყოს ზედამხედველობა გამოსაცდელ დროის განმავლობაში. პირობით მსჯავრდადებულთა პატრონობის საქმეში უნდა მიიღონ მონაწილეობა ადგილკომებმა, პროფკავშირებმა, კომუჯრედებმა და სხვ. \*).

(გაგრძელება იქნება)

დ. მირიანაშვილი

## მილიციის დაჯიშო მუშაობის მტკივნეული საკითხი

მილიციის მუშაობის სფეროში მეტად მტკივნეული საკითხია სხვა უწყებინა და თამდებობის პირთათვის დახმარების აღმოჩენის ფორმები. ეს საკითხი მეტად რთულია და მასთან ერთად მოუწესრიგებელი. მილიციის ისტორიულ განვითარების პროცესში მის სამსახურებრივი მოქმედების ფორმებზე სხვა უწყებებისა და თანამდებობის პირთათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში გავლენას ახდენდნენ სხვადასხვა მომენტები.

დღიდან მილიციის დაარსებისა, როგორც ხელისუფლების ადმინისტრაციულ-აღმასრულებელი ორგანოსი, მის ძირითად დანიშნულებად ცნობილი იყო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მართლწესიერების, მშვიდობიანობის და უშიშროების დაცვა, და აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების კანონების და

\*) Пивонтковский. Уголовное право РСФСР 1925 г. общая часть стр. 98.

განკარგულებების ცხოვრებაში გატარების უზრუნველყოფა. ამასთან დაკავშირებით მილიციის ფუნქციები უნდა განსაზღვრულიყო გაფრთხილებით, არიდებით და დევნით ყოველგვარ მოქმედებებისა, რომლებიც აკრძალულია სისხლის სამართლის კანონებით და სავალდებულო დადგენილებებით ან მიმართულია სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი მართლწესიერების, მშვიდობიანობის და უშიშროების დარღვევისაკენ.

ამ ძირითადი დებულებით მილიციის დანიშნულების და ფუნქციების შესახებ, ჩვენი აზრით, უნდა ყოფილიყო კიდევაც განსაზღვრული სხვა უწყებათა ორგანოთათვის დახმარების წესი და ფორმები.

დახმარების აღმოჩენას სახელმწიფო დაწესებულებათათვის და სხვა უწყებათა თანამდებობის პართათვის ადგილი უნდა ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ამ დაწესებულებათა და პირთა მოქმედებას, მათი პირდაპირი მოვალეობის ასრულების დროს წინ გადაეღობება დაბრკოლება მოქალაქეთა მხრით ან როდესაც მოქალაქენი არ დაეპირჩილებიან კანონიერ მოთხოვნას და ამნაირად თანამდებობის პირი მოკლებულია საშუალებას დამოუკიდებლად განახორციელოს დაკისრებული ამოცანები. მაშასადამე, ისეთი გარემოების დროს როდესაც საჭიროა იძულებითი ზომების ხმარება, მილიცია უნდა გამოვიდეს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მაიძულებელი აპარატის როლში. ეს ჭეშმარიტება, რომელიც ლოლიკურად გამომდინარეობს მილიციის ორგანოების და სხვა უწყებათა ორგანოებს შორის ურთიერთ დამოკიდებულებათა განსაზღვრის პრინციპიდან, მისი პრაქტიკულად განხორციელების დროს სხვანაირად იქნა შეთვისებული და დამხმარე ორგანოს მაგივრად მილიცია გარდა სხვა უწყებათა იმისთანა მოვალეობის უშუალო აღმსრულებლად, რაც არ შეადგენს მილიციის პირდაპირ დანიშნულებას. ყოველივე ეს აიხსნება იმით, რომ ერთი მხრივ, კანონი ზუსტად არ საზღვრავს მილიციის მოვალეობას და მისი მოქმედების ფარგლებს, ხოლო მეორე მხრივ—სათანადო უწყებებს არა ჰყავთ ან მცირე რიცხოვანია საჭირო აღმასრულებელი აპარატი მათზე დაკისრებულ ამოცანების შესასრულებლად. ზემოაღნიშნული გარემოება მთავარ მიზეზად შეიქნა იმისათვის, რომ მილიცია გამოეყენებინა სხვა უწყებებს, როგორც თავისი უშუალო აღმასრულებელი ორგანო.

1925 წლისათვის არა პირდაპირი მოვალეობით მილიციის დატვირთვამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი იძულებული შეიქნა დაეწყო კამპანია მილიციის განტვირთვის შესახებ.

თუ არსებითად განვიხილავთ იმ მოვალეობას, რომელსაც მილიცია ასრულებს სხვა უწყებათა დავალებით, ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლიან წამოვაცენოთ ის ძირითადი და უტყუარი დებულება, რომ აღნიშნულ მოვალეობებს უმრავლეს შემთხვევებში არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ მილიციის ფუნქციონალურ სამსახურთან და მის პირდაპირ ამოცანებთან.

უდავოა, რომ საბჭოთა აღმასრულებელი აპარატის თვითეულ უწყების მოქმედება მისი კომპეტენციის ფარგლებში მიმართულია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მართლწესიერების დაცვისაკენ. გადსახადების აკრფას, ვაჭრობაზე ზედამხედველობას, საფოსტო, სავაჭრო, დამზღვევი ფუნქციების შეს-

რულებას და სხვ. საბოლოო მიზანი აქვს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მართლ-წესიერება დაიცვას ისევე, როგორც, მაგალითად, ბრძოლას დანაშაულთან და მოკვლევის წარმოებას, ვინაიდან აღნიშნულ ფუნქციების შეუსრულებლობით შეუძლებელი იქნებოდა სახელმწიფოებრივი აპარატის ნორმალური მუშაობა. მაგრამ არსებითი განსხვავება მილიციის ორგანოთა და აღმასრულებელ ხელისუფლების სხვა ორგანოთა მოქმედების შორის მაინც არსებობს. აღმასრულებელ ხელისუფლების სხვა ორგანოთა მოქმედება მდგომარეობს მეთვალყურეობაში იმაზე, რომ მის მმართველობას სფეროში დაკისრებული ამოცანები, მაგალითად, ვაჭრობა, ჯანმრთელობის დაცვა, სახალხო განათლება და სხვ. ხორციელდებოდეს რაც შეიძლება ფართოდ და რომ ამ სფეროების წარჩინებული განვითარებისათვის ცხოვრებაში ტარდებოდეს სწორედ ის ღონისძიებანი, რომლებიც შემოღებულია და დაწესებული სათანადო კანონებით და წესებით. მილიციის მოქმედება კი, როგორც აღმასრულებელ ხელისუფლების შეიარაღებულ ორგანოსი, მიმართულია, უმთავრესად მეთვალყურეობისაკენ იმაზე, რომ არ მოხდეს მოქმედებანი, რომლებიც აკრძალულია სისხლის სამართლის კანონებით და სავალდებულო დადგენილებებით ან შეიძლება დაარღვიონ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მართლწესიერება, მშვიდობიანობა და უშიშროება.

ამისათვის, მილიციამ სხვა უწყებას დახმარება იმ შემთხვევაში უნდა აღმოუჩინოს, როდესაც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მართლწესიერება აშკარად ირღვევა ან როდესაც საფუძვლიანი შიშია, რომ ასეთი იქნება დარღვეული; ამასთანავე მილიციის მოქმედება დახმარების აღმოჩენის საქმეში უნდა მდგომარეობდეს ამ დარღვევათა არიდებასა და მოსპობაში, რათა აღნიშნულ ორგანოებს მიეცეთ საშუალება განახორციელონ დაკისრებული ამოცანები. მაგალითად: გადასახადის არგადამხდელი თავის ბინაში ან სავაჭროში არ უშვებს საფინანსო ინსპექტორს ქონების ასაწერად, ანდა ყოველნაირად დაბრკოლებას უწყებს მას მუშაობის დროს. ამ შემთხვევაში ფინანსპექტორს უფლება აქვს მიმართოს მილიციას დახმარებისათვის, და უკანასკნელს არა აქვს უფლება ამაში უარი უთხრას. აი ძირითადი ფორმა, რომელშიაც უნდა გამოიხატებოდეს საერთოდ მილიციის დახმარება სხვა უწყებათათვის. უშუალო შესრულება რაიმე მოვალეობების, რაც სხვა ორგანოებს ეკისრება, მაგალითად, საფინანსო განყოფილებათა მიწერილობით გადასახადების აკრება, არგადამხდელთა ქონების აღწერა და სხვ., მილიციის ორგანოს მოვალეობათა ფარგლებში არ უნდა შედიოდეს.

გარდა ამისა საჭიროა აღინიშნოს, რომ ხშირად მილიციას ეკისრება ისეთი საქმე, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას და გამოცდილებას ამ დარგში, რომლითაც ყოველთვის არ არის აღჭურვილი მილიცია. ამით ცხადია საქმე კიანურდება და ხშირად კიდევაც ფუჭდება.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო რა მხედველობაში ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოება, ცაქ'ს და ს. კ. ს. წარუდგინა: მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დებულების 39 მუხლის რედაქციის შეცვლის კანონპროექტი, რომელიც უკვე დამტკიცებულია და ამ ჟამად გამოქვეყნებული (კ. კ.

№ 1, 1929 წ. მუხ. 2). ხსენებულ ახალ კანონს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება ჩვენი მილიციის მუშაობის სფეროში, ვინაიდან აღრე მომქმედ 39 მუხლთან შედარებით იგი უფრო გარკვეულად საზღვრავს მილიციის პირდაპირ მოვალეობას. იგი პირდაპირ ლაპარაკობს, რომ მილიციის ორგანოს მოვალეობათა ფარგლებში არ შედის უშუალოდ შესრულება ისეთი მოქმედებისა, რაც სხვა უწყების ორგანოსი და თანამდებობის პირის მოვალეობას შეადგენს. მილიცია უკვე მაიძულებელი ორგანოა მაშინ, როდესაც სხვა უწყებების მუშაობას ხელს უშლის და წინააღმდეგობას უწყევს მოქალაქე.

საჭიროა ეხლა მაინც გადაწყდეს ეს საკითხი და მილიციას ჩაეოერთვას შიკრიკების და გადასახადების ამკრფვის მოვალეობანი.

## სისხლის სამართლის საკითხები

ს. ორლოვსკი

### მარქსიზმი და სისხლის სამართალი \*)

„იურიდიული ფორმა თითქმის ყველაფერია, ეკონომიური შინაარსი კი—არაფერი“ ფ. ენგელსი.

საკითხი „სისხ. სამ. კოდექსის გადამუშავების პრინციპების შესახებ“, რომელიც წამოაყენა ამხ. კრილენკომ რსფსრ-ის იუსტიციის სახ. კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში, სავსებით დროულ საკითხს წარმოადგენს სისხლის სამართლის როგორც თეორეტიკოსებისა, ისე პრაქტიკებისათვის. მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამხ. კრილენკოს მიერ წამოყენებულ შეხედულებებს, მით უმეტეს, რომ მთავარი შეცდომა ამ შეხედულებებისა, ჩვენის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ანგარიშს არ უწყევს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის თავისებურებებს, რისი დაიწყოებაც დაუშვებელია მარქსისტიკისათვის, რომელიც ანალიზს უკეთებს რომელიმე ზედნაშენს, მათ შორის სასამართლო დარგშიც.

იმის შესახებ, რომ ჩვენი სისხ. სამ. კოდექსი მეტად დაშორებულია მარქსიზმიდან, ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში ლაპარაკობდა ყველა, ვინც-კი მარქსისტული კრიტიკით უდგებოდა ჩვენ სისხ. სამ. კოდექსს. სრულიად საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ერთ-ერთი სესიაზე ამხ. რიაზანოვი „რიაზანოვისებურად“ მკაცრად აღნიშნავდა, რომ „ჩვენს კანონებში ერთი ღამეც არ გაუთევია მარქსისტულ აზრსა“-ო. ამხ. პაშუკანისი ცნობილ შრომაში „სამართლის საერთო თეორია და მარქსიზმი“ სწერდა იმის შესახებ, რომ „სისხლის სამართლის კოდექსი თავისთავად და ის სასამართლო პროცედურა, რომლისათვისაც არის იგი შექმნილი, მთლიანად გაუღენთილია ეკვივალენტური სამაგიეროს გადახდის იურიდიული პრინციპით“.

\*) დისკუსიის წესით. სტატია ამოღებულია „E. C. Ю.“ № 1—1929 წ. რედ.



ამხ. სტაროსელსკი თავის წერილში „სისხ. სამართლის რეპრესიის აგების პრინციპები პროლეტარულ სახელმწიფოში“ (ეჟურნალი „Революция и Право“, 1927 წ.), რომელშიც ანალჰს უკეთებს სისხ. სამართლის კოდექსს, სწერს: „ძალაუნებურად მივიღივართ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ ფორმალურის მხრივ ისეთივე ტიპიური კოდექსი, ისეთივე სისხ. სამართალი გვაქვს, როგორც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში“. ბოლოს, ამხ. პიონტკოვსკი თავის შრომაში „მარქსიზმი და სისხლის სამართალი“, რომელშიც ამხ. პაშუკინის ეკონომიზმსა და სხვა ცოდვებს უსაყვედურებდა, თვითონ კი მომქმედ სისხლის სამართლის კოდექსს იცავდა, მაინც იძულებული იყო ეღიარებია, რომ საბჭოთა სისხლის სამართალში „მოიპოვება ბურჟუაზიულ სამართლის ფორმის ელემენტები („ნაშხვრეები“). „ამხ. კრილენკო ილაშქრებს იმ პრინციპის წინააღმდეგ, რომელთაც სასჯელი განსაზღვრულია როგორც „სამაგიეროს გადახდა“, რამაც ყველაზე უფრო მეტად ჩენი სისხ. სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით მიღებულ „სასჯელის დოზებით გამოწერის“ სისტემაში ჰპოვა თავისი გამოხატულება. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ეს არის საქონელთა ერთმანეთისადმი ეკვივალენტობის გამოხატულება სისხ. სამ. პოლიტიკაში, რაც საზოგადოდ ახასიათებს საქონლის ბრუნვაზე აგებულ საზოგადოებას“, და მიდის იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა შევქმნათ ისეთი სისხ. სამ. კოდექსი, სადაც არ ექნება ადგილი „ცალკე მუხლებს, აფთიაქისებურ აწონ-დაწონას დავასა და მიტქმა-მოტქმას იმის შესახებ, თუ ვის რამდენი უნდა დაენიშნოს“.

ამხ. სტუჩკა სწორად აღნიშნავს ამხ. პაშუკინის შეცდომას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს.

სწორი დებულებიდან ამის შესახებ, რომ სამართლის ფორმა არის საქონლის ფორმის, ე. ი. გაცვლა-გამოცვლის ეკვივალენტური დამოკიდებულების გამოხატულება, ამხ. პაშუკინის აკეთებს შემცდარ დასკვნას თითქოს სამართლის მოსპობა (отмирание) იყოს „უშუალო გადასვლა ბურჟუაზიული სამართლიდან უსამართლობაზე („непосредственный переход от буржуазного права к не праву“). მართლაც, ამხ. პაშუკინის მიხედვით ბურჟუაზიული სამართლის ფორმა იარსებებს მინამდე, სანამ არსებობს „შრომის გაერთიანება ეკვივალენტური გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე.. საზოგადოება, რომელიც თავის საწარმოო ძალთა მდგომარეობის გამო იძულებულია შეინარჩუნოს ეკვივალენტური დამოკიდებულება დახარჯულ შრომისა და გასამრჯელის ისეთი ფორმის შორის, რომელიც თუ გინდ ცოტათი მაინც გვაგონებს საქონლის ღირებულებათა გაცვლა-გამოცვლას, იძულებული იქნება შეინარჩუნოს სამართლის ფორმა“.

ამხ. პიონტკოვსკი სწორად აღნიშნავს, რომ „სისხ. სამართლის ფორმის ანალიზი გარდამავალ პერიოდში უნდა განვიხილოთ იმასთან დაკავშირებით, რომ (ბაზრის) სტიქიური კანონშეზომილება თანდათან გადადის შეცნობილ კანონშეზომილებაში, რომელიც შეგნებულად ტარდება. ბაზრის არსებობის აუცილებლობა გარდამავალ პერიოდში კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა სამართალში აუცილებლად უნდა იქნეს შენარჩუნებული სასაქონლო-კაპიტალისტური საზოგადოების სამართლის ყველა კატეგორია. სტიქიური კანონშეზომილების გადასვლა ისეთ კანონშეზომილებაში, რომელიც შეგნებულად ტარდება სწარმოებს ბაზრის საფუძველზე“.

ადგილი შესამჩნევია, რომ ამხ. კრილენკო, რომელიც ცდილობს ერთი დაკვრით გააუქმოს ჩვენი სისხ. სამართლის კოდექსის პროპორციული სამაგიეროს გადახდის სისტემა (система пропорционального воздаяния), გვერდს უხვევს არსებულ ეკონომიურ ურთიერთობას, რომელმაც აუცილებლად (გინდა თუ არა) უნდა ჰპოვოს გამოხატულება გარდამავალი პერიოდის სამართალში; ამხ. კრილენკო უყურადღებოდ სტოვებს არსებულს და მის ადგილს აყენებს სასურველს. ჩვენ გვახსენდება ამხ. ლენინის სიტყვები ამხ. ბუხარინის მიმართ, როდესაც უკანასკნელს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) მე-VII ყრილობაზე შეჰქონდა შესწორებები ჩვენი პარტიის პროგრამაში. იმ ყველასათვის ცნობილ შესწორებების შესახებ ვ. ი. ლენინი ამბობდა:

„ისე რომ დაესწოთ პროგრამა, როგორც ეს ამხ. ბუხარინს უნდა, პროგრამა სწორი არ იქნება. უკეთეს შენთხვევაში იგი შესძლებს გადმოქცევს საუკეთესო, რაც კი თქმულა საფინანსო კაპიტალის შესახებ, მაგრამ იგი ვერ გამოჰხატავს სინამდვილეს, ვინაიდან ეს სინამდვილეა სწორედ ხელს რომ უშლის ასეთ შეერთებას. სხვადასხვაგვარ ნაწილებიდან შემდგარი პროგრამა ვერ არის მოხდენილი, მაგრამ ამას ვერაფერს უზამ. ამ სხვადასხვაობას, ამ სხვადასხვაგვარ მასალიდან შენებას, ჩვენ, თუმცა ეს მეტად არა სასიამოვნოა, დიდხანს ვერ ავიცილებთ თავიდან. როდესაც ავიცილებთ, მაშინ შევქმნით ახალ პროგრამას მაგრამ მაშინ ჩვენ ვიცხოვრებთ სოციალისტურ საზოგადოებაში“.

ამხ. კრილენკო სწორედ ჩვენი სისხლის სამართლის პოლიტიკის საპროგრამო საკითხებს („პრინციპებს“) ეხება, იმ პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავენ სასამართლო სისტემის მოქმედებას გარდამავალი პერიოდის დღევანდელი ჩაკეთისათვის და, ჩვენს აზრით, ამ პრინციპებში ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი სისხლის სამართლის დუალიზმი ისე, რომ არავითარ შემთხვევაში არ მოგსწყდეთ არსებულ ეკონომიურ ურთიერთობებს (საქონლის გაცვლა-გამოცვლის ეკვივალენტი) და თანაც ანგარიში გაუწიოთ ამ ურთიერთობების თანდათანობით გადასვლას სოციალისტური წყების ურთიერთობებში (მრეწველობის, კოოპერაციის და სხვა ხელმძღვანელი როლი). საჭიროა გვახსოვდეს, როგორც ამაზე გვითითებდა მარქსი, რომ სოციალიზმის დროსაც კი „გაბატონებული იგივე პრინციპი, რაც საქონლის ეკვივალენტების გაცვლა-გამოცვლის დროს: ერთი სახის შრომის განსაზღვრული რაოდენობა გაიცვლება სხვა სახის შრომის თანაბარ რაოდენობაში („გოტას პროგრამის კრიტიკა“). პროპორციული სამაგიეროს გადახდის ამოშლა კანონიდან—არის უხეშად გვერდის ახვევა გარდამავალი პერიოდის ეკონომიკისათვის, ეს ნიშნავს პირდაპირ სოციალიზმში გადახტომას.

თავის მოხსენების შემდეგ დებულებაში ამხ. კრილენკო აღნიშნავს, რომ სისხ. სამართლის პოლიტიკას საფუძვლად უნდა დაედოს ორი მიზანი: 1) საზოგადოების უზრუნველყოფა მისი მტრებისაგან და მისი წრიდან გაწოსულ კლასიურად გადაგვარებულ დეკლასიურ ელემენტებისაგან და 2) გასწორება მათი, ვისიც გასწორება შესაძლებელია და საზოგადოებრივი ზეგავლენა დაწარჩენებზე აღმზრდელ-პოლიტიკურ ღონისძიებათა მიღებით. მხოლოდ ეს ორი პრინციპი, ეს ორი ამოცანა უნდა ჰქონდეს დასახული მიზნად, ჩვენს სისხლის სამართლის პოლიტიკას, ამბობს ამხ. კრილენკო.

აქვე განსაკუთრებით შეილახა დაშინების (დეა. ამხ. კრილენკო ცდილობს სრულად გამოორიკხოს იგი ჩვენი სისხლის სამართლის პოლიტიკიდან და ამბობს, რომ „დახვერტა არის არა მარტო დაშინების აქტი, არამედ უწინარეს ყოვლისა ჩვენთვის ყველაზე უფრო საშიში მტრების მოსპობის აქტი. ჩვენ რომ დროზე დაგვეხვრიტა კრასნოვი, იუზოვკაში არ ჩამოახრჩობდნენ მრავალ ათას მუშას, რომ დაგვეხვრიტა პურიშკევიჩი და ვრანგელი, აღარ ექნებოდა ადგილი... (ალბად, ვრანგელის ეპოპეიას და სხვ.). განა მართალია ეს? უწინარეს ყოვლისა, როდესაც ამხ. კრილენკო საზღვრავს ორ პრინციპით სისხ. სამართლის პოლიტიკის მიზნებს, იგი ერთმანეთში ურევს მიზანსა და მისი მიღწევის საშუალებას. ეს არევა განსაკუთრებით აშკარაა დაშინებისა და გასწორების მის მიერ მოცემულ განმარტებიდან. ჩვენი სისხ. სამართლის პოლიტიკის მიზანი ერთია — პროლეტარული სახელმწიფოს დაცვა საზოგადოებრივად საშიშ ქმედობისაგან. მაგრამ პროლეტარული სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპებში, დანაშაულის ჩამდენის საშიშ მდგომარეობასთან, ქმედობის სოციალურ საშიშროებასთან და სხვ. დაკავშირებით, ეს მიზანი სხვადასხვა საშუალებით ხორციელდება. ტაპიური რეცეპტის გამოგონება თანაც ისეთის, რომელიც მთელი ეპოქისათვის გამოდგებოდეს, შეუძლებელია. საერთო და კერძო გაფრთხილების ამ საშუალებებში თავისი ადგილი უჭირავს დაშინებასაც. სწორედ დაშინება და არა მოსპობა, რადგანაც სოციალური დაცვის ყოველ ღონისძიებას ცოტა თუ ბევრად საფუძვლად უდევს მოტივაციური ზეგავლენა. ზოგჯერ ჩვენთვის იმდენად მნიშვნელოვანი არაა კლასობრივი მტრის ფიზიკური მოსპობა, როგორც დაშინება ამ აქტით საზოგადოების მტრულად განწყობილ ფენებისა.

მე სრულებით არ ვეხები იმ ვარემოებას, თუ რამდენად უნიადაგოა რევოლუციონური მარქსიზმის თვალსაზრისით ამხ. კრილენკოს დებულებანი იმის შესახებ, რომ ჩვენ დროზე დაგვეხვრიტა კონტრ-რევოლუციის ბელადები (ვთქვათ ყველა, ვინც კი ცნობილია ჩვენთვის და არა მარტო კრასნოვი და ვრანგელი), ადგილი აღარ ექნებოდა კონტრ-რევოლუციის ისტორიულ მოვლენას. პიროვნება აქ არავითარ უპირატეს როლს არ თამაშობს. დახვერტილების ადგილზე კლასობრივი ბრძოლა ახალ იდეოლოგებს წამოაყენებდა.

ბოლოს ჩვენ ვილაშქრებთ დანაშაულთა გაურკვეველ სამწევრიან კლასიფიკაციის წინააღმდეგ, რომელსაც დიდი არე-დარევის გამოწვევა შეუძლია: სოციალურად მაგნე ქმედობა, სოციალურად საშიში ქმედობა და განსაკუთრებით საშიში ქმედობა. რაშია ამ კლასიფიკაციის მთავარი ნაკლი? იმაში, რომ არავითარი განსხვავება (საზღვარი) არ არსებობს დანაშაულის ამ კატეგორიათა შორის. მართლაც, როგორც სოციალურად მაგნე ქმედობა სოციალური საშიშროების ხასიათს ატარებს, ისე სოციალურად საშიში ქმედობაც ატარებს ხასიათს სახელმწიფოსათვის მაგნე ქმედობისა. უკეთუ ესა თუ ის ქმედობა მაგნე-ბელია, იგი ამავე დროს საშიშოცაა და პირიქით.

რაც შეეხება ისეთ დანაშაულს, რომელიც არ მოითხრავს გაძლიერებული რეპრესიის აუცილებლობას, რაც გამოიხატება ერთ-ერთში ამ ოთხ ნიშანთაგან (საბჭოთა წესწყობილების საფუძვლების დარღვევა, მთავრობის სასწრაფოდ გასატარებელ ღონისძიებების დარღვევა, დანაშაულის ჩადენა ქვეყნის მერყევე სო-

ციალ-ეკონომიურ მდგომარეობაში, დანაშაულის გავრცელება), გაძლიერებული რეპრესიის შეფარდება ასეთი დანაშაულისათვის არამც თუ არ არის მიხანშეწონილი, არამედ პირდაპირ მავნებელია. და ეს იმიტომ, რომ იგი ასუსტებს სოციალური დაცვის ისეთ ამდაგვარვე ღონისძიებების საერთო-გამაფრთხილებელ ძალას, რომლებსაც უფარდებენ ისეთი დანაშაულისათვის, რაც ნამდვილად ძლიერ არღვევს წესრიგს. ამიტომ სავსებით გასაკებია იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულარი, რომელიც აღნიშნავს, ერთის მხრივ, რომ: „გაფლანგვებისა და მითვისებების გაძლიერებული სოციალური საშიშროება ღღევანდელ პერიოდში გამოიწვევლია ამ სახის დანაშაულთა შესამჩნევი გავრცელებით. ამის გამო სასამართლო ვალდებულია, სისხლის სამართლის კოდექსის 24 მუხლის ნამდვილი აზრის თანახმად, ასეთი სახის დანაშაულისათვის ღღევანდელ პერიოდში შეუფარდოს სოციალურ დაცვის მკაცრი ღონისძიება“ და, მეორეს მხრივ კი, აღნიშნავს, როგორც სწორი ხაზიდან გადახრის ამ ბრძოლაში, სოციალური დაცვის მკაცრი ღონისძიებების დანიშვნას ისეთი მცირე გაფლანგვისა და მითვისებებისათვის, რომლებსაც არა აქვთ საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ასეთი მდგომარეობა ამცირებს მკაცრი სასამართლო პოლიტიკის ძალასა და მნიშვნელობას გამფლანგვლების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში. სოციალური დაცვის ასეთი ღონისძიების დანიშვნის საჭიროება, რომელიც შეეფერება დანაშაულის საშიშროების სიძლიერეს, თეორიულ მოსაზრებების გარდა, სასამართლო პრაქტიკიდანაც დასტურდება.

მომქმედი სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლების შედარებით განსაზღვრული სანქციებით, შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს დანიშნოს სოციალურ დაცვის ღონისძიება დანაშაულის ნამდვილი საშიშროების მიხედვით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის საშიშროება შემცირდა, რაც გამოიწვევს შედარებით განსაზღვრული სანქციების საზღვრების შეუფერებლობას წესრიგის ნამდვილი დარღვევის მიმართ, შესაძლებელია სისხლის სამართლის კოდექსის ახალი საერთო გადასინჯვა. ამხ. კრლენკო, სისხლის სამართლის მომქმედი კერძო ნაწილის ნაცვლად, გვიჩვენებს დავაწესოთ სამი კარი. ყოველი მათგანი უნდა შეიცავდეს დანაშაულთა ამა თუ იმ კატეგორიის (სოციალურად-მავნე, სოციალურად-საშიში და განსაკუთრებით-საშიში ქმედობანი) რაც შეიძლება ამომწურველ ნუსხას. იგი გვიჩვენებს ერთ მუხლში მოვაქციოთ ზეგავლენის იმ ღონისძიებათა ასეთივე ამომწურველი წესი, რომლებითაც სასამართლოს შეუძლიან ისარგებლოს თავის ზეხედულებით. „განსაკუთრებით-საშიშ ქმედობის მიმართ რეაქციად უნდა იქნეს დაწესებული ფიზიკური მოსპობა—დახვრეტა“. სოციალურად—საშიში ქმედობისათვის უნდა დაინიშნოს „თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვარიაციებით, მაგრამ ვადის განუსაზღვრელად,—გასწორებამდე“. და პირიქით, მორალური ზეგავლენის სხვადასხვა ღონისძიებათა ფართო ნუსხა, დაწყებული საზოგადოებრივი გაკიცხვიდან და გათავებული იძულებითი მუშაობით, სოციალურად-მავნე ქმედობათა კარიდან ამავე დროს უნდა წარმოადგენდეს იმ ღონისძიებათა სამასალო რეზერვს, რომლებიც უნდა შეუფარდოს პროლეტარულმა სასამართლომ ისეთ ელემენტებს, რომელთა იზოლაცია საზოგადოებისაგან არ არის ნაკარნახევი აუცილებლობით და მათი დანაშაულის შინა-



არსით, კიდევ რომ ფორმალურად ასეთი დანაშაული სოციალურად საშიშ ქმედობათა კარში იყოს მოთავსებული.

ეს სისტემა ამ უამად ვერ იქნება ცხოვრებაში გატარებული იმის გამო, რომ უარყოფილია თანაბრობის პრინციპი, რომელიც, როგორც ზემოთქმულიდან სჩანს, ტარდება არსებულ სასამართლო პრაქტიკაში.

მართლაც, ავიღოთ კარი განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა, რომელთა ჩადენისათვის დახვრეტით დასჯა სავალდებულოა. ვთქვათ, რომ ამ კარით გათვალისწინებულ დანაშაულთა საშიშროება იმდენად დიდია, რომ უთუოდ უნდა იწვევდეს დახვრეტის შეფარდებას დამნაშავეთათვის. მაგრამ სწრაფად იცვლება სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა ან და მცირდება აღნიშნული დანაშაულის შემთხვევები და დახვრეტის შეფარდება აღნიშნულ კარში გათვალისწინებულ დანაშაულისათვის არამც თუ არ არის მიზანშეწონილი, არამედ პირდაპირ მავნებელიცაა. ვადიანი იზოლაციის შეფარდება ისეთ დამნაშავეთათვის, რომლებმაც ჩაიდინეს სოციალურად-მავნე ქმედობა, კიდევაც რომ არ მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ საპატიმრო ადგილების ადმინისტრაციას შეუძლია შეცდომა დაუშვას გასწორებულთა და გაუსწორებელთა განსაზღვრის დროს, სრულებით არ უწყევს ანგარიშს საერთო გაფრთხილების მიზანს. ბოლოს, გაძლიერებულ სოციალურ საშიშროების ზოგიერთი ისეთი დანაშაულისა, რომელიც შეტანილია სოციალურად მავნე ქმედობათა კატეგორიაში, შეუძლია გამოიწვიოს თავისუფლების აღკვეთის შეფარდება ჩამდენისათვის. მაგალითად, ხულიგნობას, რომელიც ერთ დროს, უმთავრესად ადმინისტრატიული წესით ისჯებოდა, დღეს, გავრცელების გამო, შეუძლია გამოიწვიოს თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამხ. კრილენკოს შეხედულებას იმის შესახებ, რომ „ჩვენი სასამართლო არის პროლეტარული სახელმწიფოს თავდაცვის იარაღი. ერთის მხრივ, კლასობრივი მტრებისაგან, ხოლო, მეორეს მხრივ, მისი წრიდან გამოსულ მერყევე ელემენტებისაგან“. ამ მიზნების განხორციელების შედეგი იქნება: კლასობრივი მტრების დაშინება, დისციპლინის განმტკიცება პროლეტარიატის იმ შინაკლასობრივ ელემენტებს შორის, რომელთა მოქმედება ეწინააღმდეგება მთელი კლასის მოქმედებას. მაგრამ ეს შეეხება ზეგავლენის შედეგს და არა სოციალური დაცვის ღონისძიებათა დანიშვნას, რადგანაც უზენაესი სასამართლო 1925 წლის № 2 საინსტრუქციო წერილის ძალით: „სასამართლოს უნდა ახსოვდეს, რომ კლასობრივი მიდგომის გატარება დამსჯელ პოლიტიკაში იმაში კი არ მდგომარეობს, რომ გავამტკუნოთ ნეპმანი ან კულაკი და გავამართლოთ მშრომელი, ღარიბი და საშუალო გლეხი, არამედ მოითხოვს მკაფიო და ნათელ გაგებას სამართალში მიცემული მოქალაქის ქმედობის სოციალური საშიშროებისა, რომელიც შეფასებულ უნდა იქნეს მთელი პროლეტარიატის ინტერესების თვალსაზრისით“.

ამ სოციალური საშიშროების შეფასება კი, როგორც ეს სჩანს სიხს. სამ. საკასაციო კოლეგიის 1925 წ. მოხსენებიდან, უნდა შესდგებოდეს შემდეგი მომენტებიდან: ა) ამა თუ იმ დანაშაულებრივი ქმედობის სოციალური საშიშროების შეფასება (ე. ი. აქვს თუ არა ადგილი წესრიგის საფუძვლების დარღვევას, მერყევე სოციალურ-პოლიტიკურ პირობებს, რაიმე საკამპანიო მუშაობის დარ-

ღვევას, გაფრცვლებულია თუ არა აღნიშნული სახის (დანაშაული); ბ) შეფასება იმისა, თუ რამდენადაა დაკავშირებული დანაშაულებრივი ქმედობა ამა თუ იმ ფენის იდეოლოგიასა და ჩვეულებებთან; გ) შეფასება იმისა, თუ რამდენად შესაძლებელია სოციალური დაცვის ღონისძიებათა შეფარდების ამა თუ იმ მიზნის მიღწევა, ვიღებთ მხედველობაში რამდენად ძლიერია არსებულ პირობებში დანაშაულებრივი ქმედობის სოციალური საშიშროება და მისი კავშირი განსაზღვრული სოციალური ფენის ფსიქოლოგიისა და ჩვეულებებთან.

ეს შესაძლებლობა როგორც საერთო, ისე სპეციალური გაფრთხილების მიზნების მიღწევისა გამოიციხულია იმ შემთხვევაში, როდესაც სოციალური დაცვის მკაცრ ღონისძიებებს უფარდებენ შემთხვევით დამნაშავეს. იმის გამო, რომ უკანასკნელი ჩავარდა მეტად მძიმე პირობებში, კანონის შემთხვევებელ მოქმედებას არ შეუძლია მოახდინოს მათზე რაიმე გავლენა. ამიტომ აქ აღარ აქვს ადგილი იმის აუცილებლობას, რომ რეპრესია ეთანაბრებოდეს შემთხვევით დამნაშავეს მერ ჩადენილს, რადგანაც მას არ შეუძლია ამ თანაბრობის შეგნება. ამიტომ გასაგებია სრულიად საკავშირო ცაკისა და სახ. კომ. საბჭოს დადგენილება იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახ. კომ. მოხსენებების გამო (E. C. II. № 14 за 1928 г.):

„წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს ისეთ სოციალურად-მერყვე ელემენტების მიმართ, რომლებმაც შემთხვევით ჩაიდინეს დანაშაული (ჩაიდინეს დანაშაული პირველად ან იმის გამო, რომ მეტად მძიმე პირობებში ჩავარდნენ) და არ არიან სოციალურად საშიში, მაქსიმალურად განავითაროს პრაქტიკა თავისუფლების აღკვეთის შეცვლისა სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებებით. თავისუფლების აღკვეთა შემთხვევით დამნაშავეთ უნდა შეფარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ღონისძიებების შეფარდება შეუძლებელია ან აშკარად მიზანშეწონილი“.

საკითხი მათი მომავლობისა, როგორც ისეთი გარემოების, რომელიც გავლენას ახდენს სოციალური დაცვის ღონისძიებების გაძლიერებასა ან შემსუბუქებაზე, გადაწყვეტილ იქნა მე-3 მოწვევის ცაკის მე-3 სესიის მიერ, რომელმაც ამოშალა 31-მუხლის „ბ“ პუნქტი. ამ პუნქტით დამამძიმებელ გარემოებად იყო აღიარებული ის ფაქტი, თუ დამნაშავე ეკუთვნის ისეთ კლასს, რომელიც დღეს ან წარსულში აწარმოებდა სხვისი შრომის ექსპლოატაციას. სესიამ გააუქმა აგრეთვე „სისხ. სამ. კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლების“ 31 მუხლის „ბ“ პუნქტი, რომელიც შემამსუბუქებელ გარემოებად სთვლიდა დანაშაულის ჩადენას მუშისა ან მშრომელი გლეხის მიერ. დანიშვნა მარტოოდენ პროლეტარული შუამომავლობის საფუძველზე, იქნებოდა ჩაშლა დამსჯელი პოლიტიკისა, რაც აუცილებლად საჭიროა მთელი მუშათა კლასის ინტერესის თვალსაზრისით. ამიტომ მე-XV პარტყრალობამ თავის დირექტივაში მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ „სახალხო სასამართლოში აგვიონ პასუხი სადმინისტრაციო და სამეურნეო აპარატის იმ მუშაკებს, რომლებიც გამოიჩინენ დანაშაულებრივ უყაირათობას, დაუშვებელ გადაჭარბებას, ჩინონიკურ დამოკიდებულებას საქმისადმი ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია რაიმე შემსუბუქება განაჩენისა ან სასამართლო ძიების მოსპობა მუშურ-გლეხური შთამომავლობის და წინანდელი დამსახურების გამო, ან ნათლი-მამობით და სხვა. სოციალური დაცვის შემსუბუქებულ ღონის“.



ძიებათა დანიშვნა მიზანშეწონილი იქნება არა პროლეტარული შთამომავლობის გამო, არამედ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გამოძიებამ აღმოაჩინა ისეთი მომენტები, რაც გათვალისწინებულია სისხ. სამ. კოდ. 48 მუხლით. როგორც ვიცით, თუ ეს მომენტები თან სდევდნენ ქმედობას, უკანასკნელი ჩაითვლება უფრო ნაკლებ დარღვევად წესრიგისა.

მაგ., სისხ. სამ. საკას. ციო კოლეგიის 1926 წლის მოხსენებაში კონტრ-რევოლუციონურ დანაშაულთა მიმართ „მიდგომა იყო მკაცრი და რენტაბელური ისეთ პირებისადმი, რომლებიც აქტიურ ხელმძღვანელობას უწევდნენ კონტრ-რევოლუციონურ ბრძოლას... კოლეგიამ მკაცრი ხაზი გაატარა... განსაკუთრებით ასეთ დანაშაულთა ორგანიზატორებსა და ხელმძღვანელების მიმართ“. ბუნებრივია, რომ ორგანიზატორები, ხელმძღვანელები და საერთოდ ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიურად მომქმედნი, იმ მდგომარეობის გამო, რომელიც ახასიათებს მათ საწარმოო პროცესში, იქნებიან არა მშრომელი ელემენტები. პირიქით, მშრომელები, აგრეთვე იმ მდგომარეობის გამო, რომელიც ახასიათებს მათ საწარმოო პროცესში, უმთავრესად შეუფერებლობით და უვიცობით იდენენ კონტრ-რევოლუციონურ დანაშაულის (სისხ. სამ. კოდ. 48 მუხ. „ზ“ პუნქტი) და ამასთანავე სრულებით არ იჩენენ აქტივობას. სოციალური დაცვის ღონისძიება შემსუბუქებულ უნდა იქნეს სწორედ ამ გარემოების გამო, რადგანაც ისინი ხდიან ქმედობას წესრიგის უფრო ნაკლებ დარღვევად, და არა პროლეტარული შთამომავლობის შიშველი ფაქტის გამო.

რა წინადადებებს ვიძლევი ჩვენ ამხ. კრილენკოს მიერ აღძრულ საკითხის შესახებ? საჭიროა თუ არა მაინც გადავსინჯოთ ჩვენი სისხ. სამ. კოდ. პრინციპები?

აი ეს წინადადებანი.

1. უკვე დროა გადავსინჯოთ პარტიის მე-XV ყრილობის დირექტივების თანახმად ჩვენი სისხლის სამართლის და საპროცესო კანონმდებლობის პრაქტიკული მხარე მისი გადამწყვეტი განმარტივების მიმართულებით.
2. საჭიროა შევქმნათ კომისია მარქსისტულ ინსტიტუტების ავტორიტეტულ ხელმძღვანელთა და სისხ. სამართლის თეორეტიკოსებისაგან სისხ. სამართლის კოდექსის პრინციპების გადასასინჯათ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეეფერებიან ისინი რევოლუციონურ მარქსიზმს.
3. გამომუშავებული პრინციპები საჭიროა გადავიტანოთ განსახილველად ფართო მასებში და, განსაკუთრებით, მივაპყროთ ამ საკითხს ჩვენი სისხლის სამართლის დარგის პრაქტიკული მუშაკების ყურადღება.
4. საჭიროა შევინარჩუნოთ ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის გარდაუვალი დეჟალიზმი, რომელიც, ერთის მხრივ, გამოხატავს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ელემენტებს (ეკვივალენტური სამაგიეროს გადახდა), ხოლო, მეორეს მხრივ, — გვემიან საწყისს ბაზრის მოწესრიგებაში (სოციალური დაცვის ღონისძიებანი).

## სისხლის სამართლის სავარაუდოდ ახალი კოდექსის პროექტის ბარშემო\*)

სამსჯავრო ძიების წარმოების დარგში არსებით ნოველად უნდა ჩაითვალოს საქმის განხილვის ერთიანი სისტემის მიღება ყველა ჩვენში მომქმედ პირველ ინსტანციის სასამართლოსათვის. სამაზრო სასამართლო ისეთივე ნორმალური სასამართლოა, როგორც სახ. სასამართლო და მისთვის შექმნა საქმის განხილვის განსაკუთრებული წესისა, რომელიც შესაფერისია მხოლოდ განსაკუთრებულ (საგანგებო) სასამართლოსათვის სრულიად უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს. ნაწილობრივ ამ გზას უკვე დაადგა უკრაინის სისხ. სამ. საპრ. კოდ. 1927 წელს, მაგრამ ზოგიერთი გამოწვევისათვის. ამ ჟამად მიზანშეწონილი იქნება შემოვიღოთ საქმეთა განხილვის ერთიანი სისტემა, რაც ფრიად გაამარტივებს პროცესის აღნიშნულ სტადიას. ჩვენ არ ვსწყვეტთ წინააღმდეგობას იმის შესახებ, თუ სახელდობრ რომელი წესი სჯობია საერთოდ — ის წესი, რომელიც მიღებულია ამ ჟამად სამაზრო სასამართლოში, თუ ის, რომელიც მოქმედობს სახ. სასამართლოში. სამსჯავრო ძიების უარყოფითი მომენტების შეფასების დროს ჩვენ ვამჯობინებთ ერთ ან მეორე დებულებას იმის მიხედვით, თუ რომელი დებულება უფრო მიზანშეწონილია სისხ. სამ. საპრ. მოქმედი კოდექსის დებულებანი, სასამართლოს თავმჯდომარის მოქმედების შესახებ სამსჯავრო სხდომაზე, სამსჯავრო ძიების დაწყებამდე არ საჭიროებენ ცვლილების შეტანას.

ყურადღებას იქცევს მხოლოდ შემდეგი ორი დებულება. მომქმედი კოდექსის 269 მუხლის თანახმად: „თუ არ გამოცხადდა სამოქალაქო მოსარჩლე ან მისი ინტერესების წარმომადგენელი, სამოქალაქო სარჩელი განხილულ არ უნდა იქნეს“, ხოლო სისხ. სამ. საპრ. კოდ. რსფსრ-ის პროექტის 108 მუხლის თანახმად, უკეთეს სამოქალაქო სარჩელი განცხადებულია, სასამართლოს უფლება აქვს განიხილოს იგი სამოქალაქო მოსარჩლის ან მისი ინტერესების წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შემთხვევაშიაც. გარდა ამისა, პროექტით დაშვებულია სამოქალაქო სარჩელის განცხადება მთელი სამსჯავრო ძიების განმავლობაში და, ამ რიგად, სამოქალაქო სარჩელის განცხადების შესაძლებლობა არ არის შეზღუდული სამსჯავრო ძიების დაწყებით, როგორც ეს მიღებულია ჩვენი მომქმედი კოდექსით (15 მუხ.). შემდეგ, ჩვენი მომქმედი კოდექსის თანახმად, ჩამოცილების საკითხი სწყდება სამსჯავრო ძიების დაწყებისას, რ.ს.ფ.ს.რ. პროექტით კი ეს საკითხი უნდა გადაწყდეს თვით სამსჯავრო სხდომის დაწყებისას. ჩვენი აზრით, ორივე ნოველა სავსებით სწორია.

შემდეგ არსებით ცვლილებას სამსჯავრო ძიების სტადიაში წარმოადგენს საბრალმდებლო დასკვნის წაკითხვის უარყოფა. რ.ს.ფ.ს.რ.-ის პროექტის 113 და 114 მუხლების თანახმად, სამსჯავრო ძიება იწყება იმით, რომ ბრალმდებელს უხსნიან, თუ რაში ედება მას ბრალი. ამის შემდეგ, უკეთეს ბრალმდებელი სწო-

\*) გაგრ. იხ. „საბ. სამარ.“ № 5.



რად არ სცნობს წარდგენილ ბრალდებას ან უკეთუ, საერთოდ, სასამართლო, მიუხედავად სამართალში მაცემულის მიერ თავის დანაშაულის აღიარებისა, საჭიროდ სცნობს სამსჯავრო ძიების წარმოებას, თავმჯდომარე ან, უკეთუ საქმეში მონაწილეობას იღებს პროკურორი ან გამომძიებელი, — უკანასკნელნი მოახსენებენ სასამართლოს საქმის გარემოებებს იმ სახით, როგორც ეს გამოიკრება წინასწარი გამოძიებით და აღნიშნავენ ყველა დამამტკიცებელ საბუთს როგორც მამხილებელს, ისე გამამართლებელს, პროექტის განმარტივების თვალსაზრისით, საბრალმდებლო დასკვნის წაკითხვის უარყოფა პროექტის ღირსებად უნდა იქნეს აღიარებული. მართლაც, როგორც თავმჯდომარემ, ისე ბრალმდებელმა და მისმა დამცველმა წინასწარ იციან საბრალმდებლო დასკვნის შინაარსი და ამრიგად საბრალმდებლო დასკვნის წაკითხვა სამსჯავრო სხდომაზე მათთვის სრულიად ზედმეტ ფორმალობას წარმოადგენს. დარჩა მხოლოდ სახალხო მსაჯულები, რომლებიც არ იცნობენ საქმეს. მაგრამ იბადება საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია საბრალმდებლო დასკვნის წაკითხვა იმისათვის, რომ სახალხო მსაჯულნი გაეცნონ საქმეს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საბრალმდებლო დასკვნაში ხშირად დაგროვილია მრავალი ფაქტები, რომლების დამახსოვრება მეტად საძნელოა სახალხო მსაჯულთათვის, აგრეთვე იმას რომ უკანასკნელნი შემდეგში დაწვრილებით ეცნობიან საქმეს როგორც სამართალში მაცემულის ჩვენებიდან, ისე სასამართლოში დაკითხულ მოწმეთა ჩვენებიდან და სხვა სამსჯავრო-საგამომძიებლო მოქმედებიდან, — აღნიშნული საკითხი უარყოფითად უნდა იქნეს გადაჭრილი. ამ რიგად, ჩვენი თვალსაზრისით, საბრალმდებლო დასკვნის წაკითხვის უარყოფა სამსჯავრო სხდომაზე ფრიად მიზანშეწონილია. ბრალმდებლის მიერ მიცემული განმარტებანი სასამ. თავმჯდომარის კითხვებზე შესაძლებლობას მისცემს სახალხო მსაჯულებსაც თავისუფლად გაერკვიონ ყოველივე იმაში, რასაც ექნება ადგილი სამსჯავრო ძიების დროს. მაგრამ შესაძლებელია მოხდეს რომ ამა თუ იმ მიზეზით სასამართლო ან მხარეები საჭიროდ სცნობენ საბრალმდებლო დასკვნის წაკითხვას და ასეთ შემთხვევაში არავითარი საფუძველი არ მოიპოვება მისი წაუკითხველობისათვის. ზემო აღნიშნულის გამო, ჩვენ საესებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ საბრალმდებლო დასკვნას წაკითხვა არ იყოს სავალდებულო და დაშვებული იყოს მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით ან მხარეთა მოთხოვნით. სულ სხვაგვარად ვუყურებთ საკითხს იმის შესახებ, რომ საბრალმდებლო დასკვნის ადგილი დაიჭიროს თავმჯდომარის ან პროკურორის მოხსენებამ. ეს ნოველა ვერ ჩაითვლება მიზანშეწონილად, რადგანაც ასეთი მდგომარეობა სრულებით არ ამარტივებს კოდექსს და ამავე დროს სამსჯავრო საგამომძიებლო ერთი მოქმედების ადგილს იჭერს მეორე, რომელიც გაცილებით უფრო უარესია ღირსების მხრივ. მართლაც, თუ ჩვენ ხელს ვიღებთ საბრალმდებლო დასკვნის წაკითხვაზე პროცესის განმარტივების მიზნით და აგრეთვე იმიტომ, რომ იგი საჭირო არ არის სასამართლოს შემადგენლობისათვის, ბრალმდებლისა და მხარეებისათვის, მაშინ რისთვის ან ვიღასთვის არის საჭირო მოხსენება? საქმეების უმეტესობა ხომ მარტივია, მოკლე საბრალმდებლო დასკვნით და იმის ნაცვლად, რომ საბრალმდებლო დასკვნის ადგილი მივანიჭოთ მოხსენებას, განა უფრო მიზანშეუწონელი არ იქნება

დაეტოვოთ ისევ საბრალმდებლო დასკვნის კითხვის წესი? ამას თუ დავუმატებთ იმ გარამოებასაც რომ მოხსენებები—განსაკუთრებით პროკურორის მოხსენება—მისდაუნებურადაც ცალმხრივი იქნება და მასში, ეჭვს გარეშეა, გადააჭარბებს გამამტყენებელი ტენდენცია:—ბრალდებული ხომ პროკურორმა მისცა სამართალში—მაშასადამე მოიპოვებდა საკმაო საფუძველი. კიდევაც რომ მივიღოთ ისეთი წესი, რომლის ძალით მოხსენების წაკითხვა მიეტყუთენება მხოლოდ თავმჯდომარეს, მაინც ძნელი მოსალოდნელია, რომ უკანასკნელმა შესძლოს დაიცვას სრული ობიექტივობა თავის მოხსენებაში. ამ რიგად სამსჯავრო ძიების დაწყებიდანვე თავმჯდომარე უმეტეს შემთხვევაში გამოააშკარავებს თავის თვალსაზრისს, რის გამო სახალხო მსაჯულები ადვილად შეიძლება მოხვდნენ მის გავლენას ქვეშ და დაჰკარგონ ის დამოუკიდებლობა და ობიექტივობა, რომელიც მოეთხოვება მათ დამამტკიცებელ საბუთების შეფასების დროს.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერთის მხრივ, მოხსენების ინსტიტუტი, მიღებული პროექტით, არ არის დასაბუთებული და არ შეეფერება საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის სისტემას, ხოლო, მეორეს მხრივ, საბრალმდებლო დასკვნის საკანონმდებლო წაკითხვის უარყოფა და მისი შეცვლა ბრალდების დედა აზრის გადმოცემით თავმჯდომარის მიერ უბრალო და გასაგებ ფორმით სავსებით მიზან შეწონილია და ერთად—ერთი მისაღები წესია.

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა ი ქ ნ ე ბ ა )

## სასამართლო და უოფა-სსოპრკეპს

გეგმვალ ბააჟოჰი

### ინსტიციის ორგანოთა ამოცანები ანტისემიტიზმთან ბრძოლაში

ანტისემიტიზმის ქვეშ იგულისხმება მტრული დამოკიდებულება ებრაელთა მიმართ, მაგრამ, როგორც პოლიტიკური ტერმინი—იგი ნიშნავს ებრაელთა საწინააღმდეგო მტრული აზრების გავრცელებას კონტრ-რევოლიუციონური და რეაქციონური მიზნებით.

სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა ქვეყნებში ანტისემიტიზმი იცვლიდა სამოსს. იგი ამოტივტივდებოდა ან რელიგიურ, ან ეროვნულ, ან კიდევ რასობრივ განსხვავების ნიადაგზე. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ფორმალური საბაბი, ფაქტიურად კი ანტისემიტიზმს ყველგან ედო ეკონომიური საფუძველი.

ახალ დროში განსაკუთრებით თავი ისახელა ანტისემიტიზმით—ძველი რუსეთის იმპერიამ. ცარიზმმა და მისმა ნამსხვრევებმა ებრაელთა სისხლით დასწერეს თავიანთი ისტორიის უკანასკნელი გვერდები.

1918 წ. ამხ. ლენინის ხელისმძღვერით გამოქვეყნდა ისტორიული დოკუმენტი ანტისემიტიზმის შესახებ, რომელშიაც ნათქვამია: „სახალხო კომისართა საბჭო აცხადებს ანტისემიტურ მოძრაობას და ებრაელთა „პაგრომებს“—მუშათა და გლეხთა რევოლუციის საქმის დამლუპველად და მოუწოდებს სოციალისტური რუსეთის მშრომელ ხალხს მთელი თავისი ძალღონით ებრძოლონ ამ ბოროტებას.. სახკომსაბჭო უბრძანებს ყველა დებუტატთა საბჭოებს მიიღონ გადამწყვეტი ზომები ანტისემიტური მოძრაობის ძირშივე აღსაკვეთად. დარბევის მომწყობნი და დარბევის აგიტატორები დაყენებულ იქნენ კანონს გარეშე“. ამგვარად ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო ანტისემიტური ლეგალობა და აღკვეთა მისი კონტრ-რევოლუციონური აგიტაცია.

მაგრამ რეჟოციონერებმა და შავ-ბნელმა ელემენტებმა კარგად იციან, რომ ანტისემიტიზმი—საუკეთესო იარაღია მათ ხელში კონტრ-რევოლუციონური მიზნების გამოსაყენებლად, ბნელი ხალხის გასაბრძოლებლად და საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიანი მშენებლობის შესაფერხებლად. ამიტომაც ისინი ამ იარღს ასე ადვილად არ უშვებენ ხელიდან: განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როცა გაძლიერებულია სოციალისტური იერიში ჩვენი ქვეყნის მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებზე, რის გამოც გამწვავებულია კლასობრივი ბრძოლა—შემჩნეულია, რომ ანტისაბჭოთა ელემენტები, როგორც ქალაქად, ისე სოფლად ებლაუჭებიან ყოველგვარ შესაძლებლობას ხელისუფლებასთან საბრძოლველად. ამ ელემენტებმა კარგად იციან, რომ აშკარა აგიტაციით გერ გადაიბირებენ თავიანთ მხარეზე მშრომელთა ფართო მასებს და ამიტომ ისინი ჩუმად, მალულად აკეთებენ თავიანთ ბნელ საქმეს. ჩამორჩენილ მოსახლეობის შორის ადვილად ეროვნულ შუღლს, ჰქმნიან ანტისემიტურ განწყობილებას, რათა ანტისემიტური დროშის ქვეშ უფრო ადვილად გაათრიონ თავიანთი კონტრ-რევოლუციონური ტვირთი.

ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის გახშირებული ცნობები, ანტისემიტური ფაქტების შესახებ, რომელიც მოდის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან, თითქმის ყოველკვირეულად ჩვენს პრესაში ვკითხულობთ ახალ-ახალ აღმაშფოთებელ ფაქტებს. მოსკოვის დიდი თეატრის დირიჟორი გოლოვანოვი, მუშა-ქალის ბარშაის ჯალათები, ინჟინერ კაცენელსონის თვითმკვლელობაში დამნაშავენი, „კომკავშირელი“ ტროფიმოვი, რომელმაც ნაჯახით მოჰკლა მწოლიარე ებრაელი კომკავშირელი ლეონიდ ბალშემენიკოვი და მკვლელობის შემდეგ წავიდა კლუბში, იცეკვა და ტრაბახით განაცხადა: „А все-таки, я этого жидка убил“ ( იხ. «Огонек» № 11—17 მარტი 1929 წ. წერილი სათაურით: Позорное пятно), და მრავალი სხვანი—„ქმანი მათნი“, აი ის „თაიგული“, რომლებიც ესოდენ ერთგულებით აგრძელებენ თავიანთი „ლირსეული“ წინაპრების შმაკოვების და პეტლიურების კონტრ-რევოლუციონურ საქმეს.

მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურის ძლევამოსილი ორგანო—პროლეტარული სასამართლო ისევე უღმობელია ანტისემიტებისადმი, როგორც სხვა ყველა კონტრ-რევოლუციონერებისადმი. ეს გარემოება კარგად უნდა შეიგნონ ყველა ჯურის ბნელმა ძალებმა.

ბრძოლა ანტისემიტიზმთან — აქტუალური ამოცანაა საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკებში. როგორია ამ მხრივ მდგომარეობა ჩვენში, საბჭოთა საქართველოში?

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს და ხაზი გაგვისვია იმ გარემოებისათვის, რომ საქართველო — ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც არ იცის ანტისემიტიზმის ცნება, რომ საქართველოში ისტორიულადაც არ ყოფილა პირობები ანტი-სემიტიზმის განვითარებისათვის და ყოველთვის არსებობდა მეგობრული განწყობილება ებრაელებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის; მით უმეტეს ეს მდგომარეობა განმტკიცდა დღეს, როდესაც ხელისუფლებას მესაქედ გახდა თვით მშრომელთა მთავრობა.

მიუხედავად ამისა, ჩვენ საჭიროდ და მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვილაპარაკოთ ამ საკითხის შესახებ, ვინაიდან ჩვენს სინამდვილეშიაც მოიპოვებთან ისეთი ბნელი ძალები, რომლებთაც ხანდახან აღედრებათ მაღა სცადონ ბედი ამ „ფრონტზედაც“. ეს ერთეული პირები და ერთეული შემთხვევები — არიან ის უცხო ბაცილები, რომლებთაც სურთ დაიბუდონ ჯანსაღ ორგანიზმში მისი დაავადების მიზნით.

ფაქტია: სიტყვა „ურია“ ძალიან გავრცელებულია ჩვენს სინამდვილეში. სრულებითაც ეჭვი არ გვეპარება, რომ მცხოვრებთა დიდი ნაწილი მას ხმარობენ იმავე მნიშვნელობით, როგორც იხმარება სიტყვა „ებრაელი“. ჩვენ არ გვინდა ვქექოთ ისტორიის არქივები და ვეძებოთ ამ სიტყვის წარმოშობის ძირები, ან კიდევ ვარკვიოთ საკითხი უდრის თუ არა იგი რუსულ სიტყვა „უიღს“, ერთი კი ცხადია: სიტყვა „ებრაელის“ გვერდით პარალელურად სიტყვა „ურიას“ დატოვება არ შეიძლება, ვინაიდან „ურია“ თანდათან ხდება საგინებელ სიტყვად და ცრუმორწმუნეთა მასისათვის კი — თვითონ „ურია“ — საშინელ და საზიზღარ ობიექტად. სიტყვა „ურიას“ ქვეშ ხშირად ჰგულისხმობენ არა მარტო ებრაელს ე. ი. მისი ეროვნული ვინაობის გამოხმატველ პირს — არამედ ხშირად მეტსაც, მის სოციალურ მდგომარეობის გამოხმატველ ნიშანსაც, როგორც მაგ. ჩარჩს, ვაჭარს და სხვ. აი ცოცხალი მაგალითიც. ამონაწერი ერთი განაჩენიდან: „განაჩენი საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახელით, 1923 წ. სექტემბრის 6 დღეს, ქ. ტფილისის მე 5 უბნის სახალხო სასამართლომ, შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე სახალხო მოსამართლე რადლეესკი, სახალხო მსაჯულნი: ასლანოვი, მანუკოვი, მდივანი ფირცხალავა, გაარჩია რა საჯარო სხდომაზე სამოქალაქო საქმე, საჩივარი გაბრიელ ზაქარის-ძე გოზალოვის, აბნერ იოსების-ძე კეზარიშვილთან ბინის ქირა და დაცლა და მიიღო რა მხედველობაში: რომ მოპასუხეს უჭირავს მესამე ეტაჟაზედ (?) მთელი სახლი და არ არის გაჭირვებული, როგორც მან შესძრა ქვეყანა და თვითონ მართლა ურია-ვო სწორეთ მართალია, რომ მას არ უნდა ეპატიოს არა ერთი ბინის ქირა და . . .“ (იხ. „ტრიბუნა“ № 577—20/IX 1923 წ.). რომ მოსამართლე რადლეესკიმ სიტყვა „ურიას“ მნიშვნელობა გაათართოვა — ეს უკვე მკითხველისათვის ნათელია. ამიტომ ერთხელ კიდევ სწორია ჩვენი აზრი, რომ ყოველმა პატიოსანმა მშრომელმა და მოქალაქემ უნდა იხმარონ მხოლოდ სიტყვა „ებრაელი“. ამ მხრივ საყურადღებო და მისაბაძია უკრაინის მეცნიერთა ნაბიჯი. როგორც პრესა გადმოგვცემს (იხ. „კომუ-

ნისტი“ № 72—31 მარტი 1929 წ.) უკრაინის მეცნიერებათა მთავარ სამმართველოს პრეზიდიუმმა დაადგინა—უკრაინის სამეცნიერო ტერმინოლოგიიდან გამორიცხულ იქნას სიტყვები „ჟიდი“—„კაცაპი“—„ხახოლი“ და სხვ., რომლებიც ეროვნული შოვინიზმის ნაშთებს გამოხატავენ. უკრაინის მეცნიერებათა მთავარი სამმართველო აცნობებს ამას რ. ს. ფ. ს. რ. მეცნიერებათა მთავარ სამმართველოს და სთხოვს მიიღოს დადგენილება სამეცნიერო ტერმინოლოგიიდან ასიტყვების გამორიცხვის შესახებ. საჭიროა ასეთი ნაბიჯი გადაიდგას ჩვენშიც.

შემდეგ უნდა შევეხოთ აგრეთვე გავრცელებულ მოვლენას—„ებრაული ანეკდოტების“ თხრობას. ამ ანეკდოტებს თქვენ იპოვით ყველა გზა-ჯვარედინზე როგორც ქალაქად, აგრეთვე სოფლად, ქუჩაში—ტრამვაის მოლოდინში, მატარებლებში, რესტორანებში, საკუთარ ბინებში სუფრის გარშემო, თეატრებში, კლუბებში და სამწუხაროდ... დაწესებულებებშიაც. ჩვენ არ გვინდა იმის თქმა, რომ ყველა ისინი, ვინც ებრაულ ანეკდოტებს სოხზავენ და შემდეგ ერთი ერთმანეთს გადასცემენ—ყველანი არიან ანტისემიტები. არა, ჩვენ ამას არ ვამბობთ, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა შევეხოთ ამ ანეკდოტების შინაარსს, იმ გამხრწნელ გავლენას რომელსაც ისინი ახდენენ მომავალ თაობაზე და იმ საშიშროებას, რომელიც შეიძლება ოდესმე წარმოდგეს მათი ფართე გავრცელების ნიადაგზე.

ანეკდოტები ისახება ბურჟუაზიულ-მესჩანურ ჭაობში და მისი ავტორები ყოველთვის ცდილობენ შეუფარდონ „მოდის“ მსგავსად ამა თუ იმ ახალ პოლიტიკურ მოვლენას ან დღიურ საჭირობორტო საკითხებს. როგორც გადამდები ბაცილა იგი გადადის სხვა და სხვა ფენებში და წრეებში და ამ „ექსკურსიის“ დროს მას გზადა გზა ახალი ავტორები ჰღებენ ახალ-ახალი საღებავებით, რომ ანეკდოტები გახადონ უფრო მწვავე, უფრო სასაცილო, სამახსარო და ზოგიერთ „ბრძენთა“ სიტყვებით—უფრო „დამახასიათებელი“. ამ ანეკდოტებში მთავარი მომქმედი პირი არის ებრაელი. იგი გამოყვანილია ოთხმოცდა ცხრამეტ შემთხვევაში, როგორც მოხერხებული კაცი, მომტყუებელი, ფლიდი, გაიძვერა, მშიშარა, მოლაღატე და სხვ. ერთი სიტყვით იგი შემკულია ყოველგვარი უარყოფითი თვისებებით. ზოგიერთებს აუარებელი ანეკდოტების დასწავლა და მათი შესაფერ მიმიკით და ინტონაციით გადმოცემა—პირდაპირ სასახლოდ მიაჩნიათ. არიან კიდევ ამ საკითხში დახელოვნებული „სპეცები“, რომელთაც ჰყავთ შესაფერი „აუდიტორია“.

უდავოა, რომ ეს ანეკდოტები ხრწნიან ჩვენი გონების ხვეულებს, სწამლავენ ატმოსფერას. მომავალ თაობაში აღვივებენ ნელ-ნელა ანტაგონიზმს და ჩამორჩენილ გლეხობაში კი ნიადაგს უმზადებენ ანტისემიტისმის გაჩენას. რასაკვირველია, კანონმდებლობისა და რეპრესიების გზით ვერ მივალწევთ ამ საკითხში საჭირო ეფექტს, მაგრამ კულტურულ აღმზრდელობითი მუშაობის გაცხოველების გზით, სწორი კლასობრივი ხაზის გატარებით—ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული რომ შევძლებთ ამ სენის დაძლევისა.

ებლა ჩვენ შევეხებით მოკლედ ე. წ. „რიტუალის ლეკენდას“, რომელსაც სამწუხაროდ ჩვენს სინამდვილეშიაც აქვს ფეხი მოკიდებული, განსაკუთრებით ეს ლეგენდა ფეხს იკიდებს სოფლად ჩამორჩენილ და ცრუმორწმუნე გლეხობაში. პასეჟის წინ (ებრაელთა დღესასწაული) თუ სადმე დაიკარგა შემთხვევით ან საგან-

გებოდ პატარა ბავშვი—ცრუმორწმუნეთა შეხედულებით ეს უსათუოდ ებრაელების საქმეა, რომლებიც იპარავენ ბავშვებს სისხლის ამოღების მიზნით პასექის რიტუალური საჭიროებისათვის.

ამ ლეგენდას ფესვები აქვს ჯერ კიდევ საშუალო საუკუნოებში. ყოველგვარი კლერიკალური და ბნელი ძალები იყენებდნენ ამ ლეგენდას თავიანთი შავი ზრახვების განსახორციელებლად. იმპერიალისტური ომის დაწყებამდე რუსეთის თეოთმპყრობელობამ ქ. კიევში მოაწყო ბეილისის პროცესი, რომელმაც ალაპარაკა თავის დროს მთელი მსოფლიო. ქ-ნი ვერა ჩებერიაკი და ბ-ნი შმაკოვი ერთად აკეთებდნენ ცარიზმის დავალებას. ბეილისის სახით ბრალდებულის სკამზე დასვეს მთელი ებრაელობა. ფართო მასების ყურადღება უნდოდათ ჩამოეშორებინათ რევოლუციონური მოძრაობისათვის და მიემართათ მათი რისხვა ებრაელთა წინააღმდეგ. მაგრამ ეს იყო მომაკვდავის უკანასკნელი გაფართხალება, უკანასკნელი გაბრძოლება.

ცარიზმი თავის არსებობის დროს შეეცადა ეს ლეგენდა ფართოდ გავეცრულებინა მთელ თავის იმპერიაში ეროვნულ შუღლის დათესვის მიზნით. დამახასიათებელია ის გარემოება, რომ მან მიაღწია თავის მიზანს საქართველოშიაც. 1878 წ. ებრაელთა პასექის დაწყებამდე ერთი დღით ადრე დაიკარგა გლეხის პატარა ქალიშვილი სარა იოსების ასული მოდებაძე, რომელიც ცხოვრობდა სოფ. პერევისაში (შორაპნის მაზრა, დ. საჩხერიდან 15 ვერსი). რამოდენიმე დღის შემდეგ ნახეს ამ ბავშვის გვაში სოფლის ახლოს, რომელიც დამხრჩვალა ძლიერი წვიმის დროს. შემთხვევით იმ დღეებში სოფლად გაუვლიათ საჩხერელ ებრაელებს. მიუხედავად ექიმების ექსპერტიზისა ბავშვის დაღუპვის პიჯეტების შესახებ—ხელისუფლებას მაინც საჭიროდ დაუნახავს პასუხისგებაში მიეცა საჩხერელი 9 ებრაელი. ეს საქმე გაბერეს ხელოვნურად და იგი ცნობილია „ქუთაისის რიტუალური პროცესის“ სახელწოდებით“ (იხ. Евр. Энциклопедия გამოც. Брокгауз—Ефрон-ისა ტომი IX, გვ. 938—939).

მართალია ცარიზმმა ვერც ამ შემთხვევაში მიაღწია მიზანს, მაგრამ ის მაინც შესძლო, რომ ბნელ მასაში დაჰბადა ექვი, შექმნა არა ნორმალური ატმოსფერო და მას შემდეგ დღემდე არა ერთი და ორი წვრილ-წვრილი საქმე აღმოცენებულა ამ ნიადაგზე. 1924 წ. ქ. ტფილისში შემჩნეული იყო ხუთჯერ ასეთი სახის შემთხვევა. განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ერთი შემთხვევა: „მოქ. არუთინ სოლომონოვს დაკარგვია 3 წლის ბავშვი. იგი უნახავთ მკვდარი კუკიის სასაფლაოზე. პატრონმა განაცხადა, რომ მე ამაში ბრალს ვდებ ჩემ ებრაელ მეზობელ მენაშე მანაშეროვს, რომელსაც უნდა ეწვალეზინოს რიტუალური მიზნითო, ჩემ ცოლს ასე უთხრა მარჩიელმაო. მეოთხე უბნის კომისარს გადაუგზავნია საქმე სისხლის სამართლის მილიციისათვის, რომელსაც მიუწვდვია თავისი გამოძიებისათვის საქმის გამორკვევა და ნამდვილი მკვლელის აღმოჩენა. გამოძიებული კი შესდგომია რიტუალის ნიადაგზე საქმის გამორკვევას...“ (იხ. „მაკაველი“ № 1, 24/II—1924 წ.).

რასაკვირველია ხელისუფლებამ თავის დროზე ღიილო გადაწყვეტი ზომები, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში გვინტერესებს ამ ბოროტების სააშკაროზე გამო-

